CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## თბილისი-მოსკოვის რეისები 15 სექტემბრიდან აღდგება



N105(3035) 10 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE გამოდის 1995 წლიდან

## „ეს ახალი ეტაპია ეკლესიასთან ბრძოლის, რომელსაც ჰქვია ეკლესიის საზოგადოებისგან გაყოფის მცდელობა“



„რეჟიმს, რომელსაც ჰყავს რელიგიის, სინდისის პატიმრები, არის უსინდისო. ამიტომ, ამ უსინდისობაზე რომ ქორეპისკოპოსმა თქვას, რა არის გაუგებარი და გაურკვეველი? რა თქმა უნდა, აყვირდებოდნენ ის არასამთავრობოები, რომლებიც განცხრომაში იყვნენ, ხალხი რომ იტანჯებოდა, ჩვენ კი ციხეებში ვიყავით, არ დაგვკლებია ცემა და ელექტროშოკები. მაშინ ეს არასამთავრობოები რამდენიმე მილიონი დოლარით ფინანსდებოდნენ.“

## გასაიდუმლოებული შეხვედრა წყნეთში

რა მოხდა ნაციონალების ლიდერების და მათი მოკავშირე ბიზნესმენების შეხვედრაზე?

## სააკაშვილი ამერიკელების დახმარებით ღარიბაშვილზე წერტილოვან დარტყმებს ამზადებსო...



## კოტე კუბლაშვილის დანაშაული, რომელიც პარლამენტმაც დაადასტურა



## ნარმანიას და მელიას ტელედებატებში დაშვებული შეცდომები

ექსპერტ კახა კახიშვილის ანალიზი



## დამნაშავე მოსამართლეებზე მტკიცებულებების მოპოვება დასრულებულია

რას აპირებს ირმა ინაშვილი?

## რა ცვლილებებს მოჰყვება მინისტრთა ცვლილებები?



## საქართველო ნეიტრალური ქვეყანა ხდება...

რა დავალებით ჩამოვიდა ჯეიმს აპატურაი





# სააკაშვილი ამერიკელების დახმარებით ღარიბაშვილზე წერტილოვან დარტყმებს ამზადებსო...



**მიხეილ სააკაშვილი თავისი ბანდის წევრებს პერიოდულად კიევში იბარებს და ტრენინგებს უტარებს. გიგი უგულავას სახით, მას ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ჩაუვარდა — ანუ შავი ფულის გათეთრება, ოფშორული ზონებიდან თანხების გადმორიცხვა-დაბინავება და ასე შემდეგ.**

**როგორც „სახალხო კრების" წევრი, ლაშა ამირეჯიბი ამბობს „ალიასთან" საუბარში, სააკაშვილი კიევში მისმა ამერიკელმა და ევროპელმა მამებმა ჩაიყვანეს, რათა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოამზადონ:**

– მე შემაშინა კეტრინ ეშტონის განცხადებამ, თუ მორატორიუმი გამოაცხადეთ, მაშინ უგულავა რაღაზე დაიჭირეთო? ასევე, ითხოვს, რომ სასამართლო იყოს ზეთავისუფალი. ქალბატონმა ეშტონმა არ იცის, რას ნიშნავს „ნაციონალური" ცოცხი ტრ...ში., მას რომ ეს გამოეცადა და ეგრძნო, ასე არ ილაპარაკებდა. განცხადება ბევრი იქნება ევროპიდან, მაგათ მეტი საქმე არ აქვთ, ახლა მთავარი ის არის, ხელისუფლებას არ შეეშინდეს. ხშირად ჩვენს ხელისუფლებას ევროპელებისა და ამერიკელების განცხადებები აშინებს, ამიტომაც ვშიშობ, რომ უგულავა არ აღმოჩნდეს „ფოჩიანი კანფეტი", რომლის დაჭერითაც ხალხს ცოტა ხანს გააჩუმებენ.

**— საამისო ნიშნები არის?**

– ჩვენ საკუთარი კანონებით ვერ ვწყვეტთ, რა ვუყოთ უგულავას, რა ვუყოთ მერაბიშვილს და სხვა უამრავ დამნაშავეს. მე არ მინდა, ასე მოხდეს, მაგრამ, როგორც ვიცი, ევროპიდან არის უკვე გარკვეული ზეწოლები განცხადებების გარდა და შესაძლებელია, დაკავებები შეჩერდეს. ხელისუფლებას ეუბნებიან, ჯერჯერობით გიგი უგულავას დაჭერით დაკმაყოფილდითო. როდესაც სარკოზი დააკავეს, იგივე ევროპელებს ხმა არ ამოუღიათ, მათთვის ჩვენ ვართ მეორე კლასელები, ეგენი არიან ჩვენი დირექტორები და დამრიგებლები. არ გვაქვს უფლება, ჩვენ თვითონ ვმართოთ ჩვენი ქვეყანა?! ვანო მერაბიშვილზე ლამის ვენები გადაიჭრეს და კვირაში ერთხელ საკანში აკითხავენ, გეგონება, იქ მარტო ვანო ზის. ეს ადამიანი ჰყავთ სასათბურე პირობებში, ერთი ის უდანაშაულო ბიჭებიც მოიკითხონ, ტრ...ში ცოცხებს რომ უკეთებდნენ. ასეთებს ამერიკელებმა ან ევროპელებმა მიაკითხეს და ჰკითხეს, რა მოხდა, რატომ მოხდა და როგორ მოხდაო? ყველა სიბინძურე მოდის მაგათგან, რომ არა ევროპელები და ამერიკელები, „ნაციონალები" ამდენს ვერ გაბედავდნენ.

მე ახლა გეტყვი, რა ხდება კიევში, სადაც სააკაშვილს უგულავაც უნდა ჩაეყვანა და „დაესაქმებინა". კიევში ეგენი ამერიკელებისგან იღებენ ახალ-ახალ დავალებებს, თუ რა უნდა გააკეთონ მომავალში და როგორ უნდა მოიქცნენ, რომ მობრუნდნენ ხელისუფლებაში. „ნაციონალები" უკრაინაში გადიან ტრენინგებს. ძალიან მარტივი ამბავია, ამათ იციან ხელისუფლების სისუსტეები და ცდილობენ, ჯერჯერობით წერტილოვანი დარტყმების გეგმა შეიმუშაონ. დღეს უკრაინა მაგათთვის არის თავშესაფარი და შეხვედრების ადგილი. სააკაშვილი კიევში არა მხოლოდ თავისი ბანდის წევრებს ხვდება, არამედ თავის უცხოელ მამებსაც, ამერიკელ სენატორებს და ასე შემდეგ. ისინი ასწავლიან, რა უნდა გააკეთოს. თუ გიგი უგულავა როგორმე გამოიხსნეს, თუ ხელისუფლებამ დათმო და გაათავისუფლა, ჩათვალეთ, რომ ამ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია. აქ საგულისხმოა ერთი ფაქტი, მოსამართლის გადაწყვეტილება აშკარად არ მოეწონა კოტე კუბლაშვილს, რომელმაც წესით, ცივი წყალი უნდა დალიოს, მაგრამ მაინც საშიშია, ჩვენ არ ვიცით, როგორ წავა სასამართლო პროცესები. უგულავა არ იყო მხოლოდ თბილისის მერი, ის გახლდათ ყველაფრის საქმის კურსში, თუ რა ხდებოდა ციხეებში, რა ხდებოდა ზონებში, როგორ ჭამდნენ ბიუჯეტის ფულს, როგორ თეთრდებოდა შავი ფული, როგორ დაიქცა უამრავი ოჯახი. ახლა უთქვამს, აქ ბევრი დრო მაქვს და წიგნებს თქვენს მაგივრადაც წავიკითხავო. მე მას ვურჩევ, ჯერ ჩვენება მისცეს უამრავ საქმეზე და წიგნებზე მერე გადავიდეს. დაწეროს, რამდენი უბედურება აქვთ ჩადენილი „ნაციონალებს" და კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილს. ჩემი ინფორმაციით, გიგი უგულავას დაპატიმრება ძალიან არ მოეწონათ „რესპუბლიკელებს", გარეგნულად არ იმჩნევენ, მაგრამ მათ ჰქონდათ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და დიდი სიყვარულობანა. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ „ნაცმოძრაობა" დასუსტდება, „რესპუბლიკელებსაც" მოეხაზებათ. თუ უგულავას დაკავებას გავუყვებით, მივადგებით მარნეულის არეულობას. თუ გამოძიება სწორ გზაზე დადგება, ამ საქმეში არაერთ საინტერესო ფიგურას ამოაგდებს. არ არის გამორიცხული, დათო უსუფაშვილიც იყოს თავიდან ბოლომდე ამ საქმეში გარეული.

**— თუკი უგულავას ბრალი წაუყენეს, მარნეულში არეულობას აწყობდიო, რატომ დარჩნენ მშრალზე გიორგი ბარამიძე და ხათუნა გოგორიშვილი, ისინიც ხომ მუშტებს იქნევდნენ და ილანძღებოდნენ?**

– არა მხოლოდ გოგორიშვილი და ბარამიძე, გეუბნები, აქ შეიძლება უსუფაშვილის ხელიც ერიოს. „რესპუბლიკელები" ასე ხმამაღლა ვერ ყვირიან, მაგრამ ძალიან წუხან, რომ უგულავას სახით „ნაციონალებს" ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ჩაუვარდათ. ის მიდიოდა უკრაინაში იმის გამო, რომ „ნაცბანდის" მეთაურს, სააკაშვილს შეხვედროდა და ახალი პროვოკაციები დაეგეგმა. თუ ხელისუფლება მოინდომებს და სამ-ოთხ დამნაშავე „ნაციონალს" კიდევ დააპატიმრებს, მაშინ „რესპუბლიკელების" აღსასრულიც მოახლოვდება. ეს იქნება ძალიან დიდი დარტყმა. ხელისუფლება და პირადად ირაკლი ღარიბაშვილი უპირისპირდებიან ერთიან გეგმას, სადაც ჩართულები არიან უცხოელებიც. რამდენი გააქტიურდება ხელისუფლება, იმდენი მოიმატებს ზეწოლა დასავლეთიდან, ესენი უმიზნებენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს. თუ ღარიბაშვილი ამ ბარიერებს გადალახავს, ხალხის მხრიდან მიიღებს მხარდაჭერას. ქართველებისთვის „ნაციონალური მოძრაობა" და „რესპუბლიკური პარტია" ერთი ჭირია. რაც შეეხება კონკრეტულად მიშა სააკაშვილს, ის უკრაინაში ჰყავთ ძალიან კარგად დაცული, თუ ღარიბაშვილმა მას აჯობა და სააკაშვილი ვერ დააბრუნეს ხელისუფლებაში, მაშინ მისი მამები ჩათვლიან, რომ ეს ადამიანი არ გამოადგათ და აიღებენ ხელს. ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება, რომ დააკავონ. სხვათა შორის, ახლა დადის ხმები, შეიძლება მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვაზე ვილაცებს ჩამოჰყვესო. ჩემი ინფორმაციით, თურმე ჩამოსვლა კი უნდა, მაგრამ ვერ ბედავს, ეშინია, არ დამაკავონო.

**„ირაკლი ღარიბაშვილი უპირისპირდება ერთიან გეგმას, სადაც ჩართულები არიან უცხოელებიც. რამდენი გააქტიურდება ხელისუფლება, იმდენი მოიმატებს ზეწოლა დასავლეთიდან, ესენი უმიზნებენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს. თუ ღარიბაშვილი ამ ბარიერებს გადალახავს, ხალხის მხრიდან მიიღებს მხარდაჭერას"**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რუსეთის ხელისუფლების სიბნელეს ხართ ამოფარებული"



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება, სადაც ჭიაბერაშვილმა ვანო მერაბიშვილს, ბაჩო ახალაიასა და გიგი უგულავას სოლიდარობა გამოუცხადა. მისი თქმით, სამივე მათგანი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პატიმარია.

„სოლიდარობა გამოუცხადეთ ნაწამებ, ღირსებაშელახულ, უფლებაგათელილ, ბიზნესახეულ ადამიანებს... ერთხელ მაინც, თუნდაც ერთხელ მაინც ბოდიში მოუხადეთ ამ ადამიანებს, მუდამ რომ ხართ ამოფარებული რუსეთის ხელისუფლების სიბნელეს... ეგ ყველამ იცის, თქვენ თქვენი თავი განსაჯეთ და ერთხელ მაინც გაბედეთ და შეხვდით იმ ადამიანებს, რომლებსაც აწამებდნენ თქვენი მინისტრები, გაბედეთ და მერე დავიჯერებ, რომ პოლიტიკაში გინდათ დარჩენა და არამხოლოდ თვითგადარჩენას ცდილობთ", – წერს სესიაშვილი „ფეისბუკზე". (ნიუპოსტი)

## აპატურაიმ პრემიერისგან ორი ძირითადი „მესიჯი" მოისმინა



„ჩვენ კომუნიკეს პროექტს უელსის სამიტის წინ აგვისტოში მოვამზადებთ და დარწმუნებული ვარ, მასში აისახება არა მხოლოდ ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება, არამედ საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, – განაცხადა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ.

„პრემიერ-მინისტრისგან მოვისმინეთ ორი ძირითადი მესიჯი. პირველი არის ის, რომ გვქონდეს რეალური პაკეტი უელსის სამიტზე და მეორე ის, რომ საქართველო მზად არის, განაგრძოს სვლა ნატო-ში ინტეგრაციასთან მაქსიმალური დაახლოებისკენ". – აღნიშნა აპატურაიმ. (ნიუპოსტი)

## ნაციონალური ნიშნით ქართველების დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონიაო?



პრაღაში აბაშიძე-კარასინის შეხვედრა დასრულებულია. სერგეი ლავროვის მოადგილის განცხადებით, თემა ამოწურული არ არის და მსჯელობა უნდა გაგრძელდეს. გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ რუსული მხარე ელოდება პროცედურების დასრულებას. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა:

„სტრასბურგში მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მარტივი და ერთმნიშვნელოვნად თქმა იმის, რომ ეს იყო ქართული მხარის პოლიტიკური გამარჯვება, სწორი არ იქნებოდა, მთავარია, სასამართლოს არ დაუდგენია, რომ ნაციონალური ნიშნით ქართველების დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, არის საუბარი ადმინისტრაციულ დარღვევებზე, მაგრამ პროცესი დასრულებული არ არის, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია შემდეგი, რომ მსგავს პოლიტიკურ პროცესებს ადგილი აღარ ჰქონდეს, რომ ხელი არ შეუშალოს ორმხრივ ურთიერთობებს, კომპენსაციის თემა ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მოლაპარაკებები გაგრძელდება მომდევნო 12 წლის განმავლობაში და ამაზე იქნება დამოკიდებული დანარჩენი", – განაცხადა კარასინმა. (ნიუპოსტი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – ალვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# კოტე კუბლაშვილის დანაშაული, რომელიც პარლამენტმა დაადასტურა



როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის მეხუთე მუხლის დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელი, ყოფილი პროკურორი, **დავით ზირაქაშვილი** აცხადებს „ალიასთან“, ხელისუფლებიდან საკაშვილის ჩამოცილების შემდეგ ქვეყნის შიდა უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი რჩება. მართალია, ამ ადამიანს 2015 წლის თებერვალში კი გასდის თანამდებობაზე ვადა, მაგრამ მანამდე ძალიან ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია. ზირაქაშვილის თქმით, საკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმის დროს, სასამართლოში განსახილველად შესულ სისხლის სამართლის საქმეების 98 პროცენტზე მოსამართლეებს გამოჰქონდა დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო გამამტყუნებელი განაჩენები და მათი გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოები იგივე პროცენტებით უცვლელად ტოვებდნენ. კუბლაშვილი 2012 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდშიც ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას და მოსამართლეებზე ფარული ზემოქმედების გარდა, საჯაროდ აფიქსირებს თავის უარყოფით პოზიციას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. ხელისუფლება არ უნდა ელოდოს კუბლაშვილის ვადის ბოლომდე დასრულებას, როგორც ეს გააკეთა საკაშვილის შემთხვევაში, როცა უკანონოდ გაგრძელებული ვადა ჩაამთავრებინა. კოტე კუბლაშვილის მიმართ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირება, რაც დამთავრდება იმპიჩმენტით:

**— ბატონო დავით, კუბლაშვილის იმპიჩმენტი იურიდიულად როგორ უნდა მოხდეს, ეს თებერვლამდე მოესწრება?**

– თავის დროზე მე ასევე ვითხოვდი, რომ საკაშვილს უკანონოდ მითვისებული ვადა არ გაგრძელებოდა, მაგრამ ჩვენთან ხომ ყველაფერი ზემოდან დაკვეთით ხდება? ადრე დირექტივები მოსკოვიდან მოდიოდა, ახლა იცით, საიდანაც მოდის. პარლამენტში „რესპუბლიკელებმა“ დაიწყეს, საკაშვილმა ვადა უნდა ჩაამთავროსო. კოტე კუბლაშვილს ისეთი ბომბები აქვს სასამართლოში, რომ იმპიჩმენტი კი არა, დასაჭერია!

**— დეტალურად ამიხსენით, იურიდიულად რა პროცედურასთან გვაქვს საქმე?**

– კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, ამ საქმისთვის პარლამენტის წევრთა ორი მესამედია საჭირო. როცა იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება, ამას მოჰყვება შესწავლა, დაიდება დასკვნა და გავა კენჭისყრაზე.

**— ჯერ დანაშაული უნდა დააფიქსიროს პარლამენტმა. თან საკონსტიტუციო უმრავლესობაა საჭირო.**

– იცით, აქ როგორი სიტუაციაა? ბამბისა და კაკლის ჩხრიალის ვარიანტია, თუ მოინდომებენ, პრობლემა არ არის. ჩვენმა პარლამენტმა აღიარა, რომ ქვეყანაში არსებობდა 190 პოლიტპატიმარი და 30 პოლიტიკური დევნილი. კარგი, დევნილებს დავანებოთ თავი, ამათი საქმეები გამოძიების ეტაპზეა. ის, რომ 190 კაცი უკანონოდ იყო დაპატიმრებული პოლიტიკური ნიშნით, ეს ხომ პარლამენტმა დაადგინა? ამ აღიარებას თავისთავად უნდა მოჰყოლოდა გაგრძელება. კი, ბატონო, პიროვნება კი აღიარე პოლიტპატიმრად, მაგრამ ვინ გაასამართლა პოლიტიკური ნიშნით? სასამართლომ. ვინ დაიჭირა პოლიტიკური ნიშნით? პროკურატურამ და გამომძიებელმა. თუ ამ ადამიანებმა მოიარეს მესამე ინსტანცია და მაინც გაამტყუნეს, ვინ გააკეთა ეს ყველაფერი? სასამართლომ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვინ არის? კოტე კუბლაშვილი. დანაშაული ჩადენილია, რომელიც დადასტურებულია პარლამენტის მიერ, მორჩა.

**— მე ამ საკითხზე ვესაუბრე მანანა კობახიძეს, პარლამენტის ვიცე-სპიკერს და მან მითხრა, ჩვენი ევროპელი მეგობრები გვაფრთხილებენ, სასამართლოს არ შეეხოთო.**

– მოიცა, მოიცა, შენ შემოგევლე, მე წლების განმავლობაში ვიმუშავე პროკურორადაც და გამომძიებლადაც, როცა მინდა, ბამბას ავაჩხრიალებ, როცა მინდა – კაკალს. რას ჰქვია, ევროპა არ გვიშვებს, ხელი არ ახლოთო? ეგ რომელ კანონში წერია? ჩვენ კონსტიტუციაში გვიწერია, თუ ევროპამ გაგვიშვა, დამნაშავეები უნდა დავიჭიროთ, თუ არ გაგვიშვა, არ უნდა დავიჭიროთ? ეგ არ არის მიზეზი. აქ უბრალოდ მოხდა გარიგება „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის. თუ პარლამენტი მოინდომებს, ამ ზაფხულს ყველა საქმის მოთავება შეიძლება და სექტემბერში, პირველივე სხდომაზე დადგება იმპიჩმენტის საკითხი. ეს ადამიანი ძალიან ბევრ რამეს აფუჭებს, ეს არის მავნებელი, ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას უქმნის პრობლემას. მე ჰაიჰარად და უსაფუძვლოდ არ ვლაპარაკობ, პირველ რიგში ხელისუფლებას ექმნება დიდი საფრთხე.



**„ვინ დაიჭირა პოლიტიკური ნიშნით? პროკურატურამ და გამომძიებელმა. თუ ამ ადამიანებმა მოიარეს მესამე ინსტანცია და მაინც გაამტყუნეს, ვინ გააკეთა ეს ყველაფერი? სასამართლომ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვინ არის? კოტე კუბლაშვილი. დანაშაული ჩადენილია“**

**— პირდაპირ დიდი ბომბი გვიდევს ქვეყანაში.**

– რა თქმა უნდა... მე ვმუშაობდი რესპუბლიკის პროკურატურაში, თუკი ვინმე იყო ისეთი, ძაღლი, მამაძაღლი და კრიმინალი, ვისი დაჭერაც უნდოდათ, იმას მე მაჭერინებდნენ. ნაღდ საქმეებს მე ვიძიებდი 1987 წლიდან მოყოლებული. დღეს ვერ მომიყვანთ საქართველოში გამომძიებელს, რომელსაც ჩემზე მეტი საქმე აქვს გაკეთებული სახელმწიფო დანაშაულის ხაზით. როგორც კი მოვიდა ირაკლი ოქრუაშვილი, მესამე დღესვე მე დამეტაკა. ესენი ბავშვები არიან, კაცის დაჭერისა ეშინიათ. ჯერ იმისი აზროვნება და „ბაგაჟიც“ არა აქვთ, რომ საქმესთან ახლოს მივიდნენ. არ იციან, მაღალი თანამდებობის პირს საიდან უნდა დაარტყან, ამას შნო უნდა, რა ევროპა და რომელი ამერიკა? ასე რომ, შეუძლებელი არაფერია, თუ გული გულობს, ყველა დამნაშავე წავა ციხეში და მათ შორის, კოტე კუბლაშვილიც.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფანჯიკიძე პრეზიდენტის ადმინისტრაციას პასუხობს



საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება:

„საგარეო უწყებამ ერთი თვის წინ მიიღო დავალება მთავრობისგან, რომ მოემზადებინა ვიზიტი გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე და დაეწყო ამაზე მუშაობა. ამ მუშაობაში შედის ის, რომ პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე. ექნება ორმხრივი შეხვედრები და მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე პარალელურ ღონისძიებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არასოდეს ჰქონია პრობლემა საგარეო ვიზიტებთან დაკავშირებით, იქნებოდა ეს პრეზიდენტის თუ პრემიერის დონეზე. ნებისმიერი ვიზიტი, რომელიც ჩემი მინისტრობის პერიოდში განხორციელდა, ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და რაიმე დაბრკოლება არც მომავალში იქნება“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ცნობისთვის: პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გიორგი მარგველაშვილი მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ნიუ-იორკში დაგეგმილ გაერო-ს სამიტში მიიღებს მონაწილეობას. მათივე ინფორმაციით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტის თანხმობის შესახებ ინფორმაცია გაერო-ს არ გადაუგზავნა. (ნიუპოსტი)

## მოსახლეობა ავტობანის მშენებლობის წინააღმდეგ



რუისის მონაკვეთზე ადგილობრივი მცხოვრებლების ერთმა ჯგუფმა ავტობანის მშენებლობის სამუშაოები შეაჩერა. მშენებარე მაგისტრალის ამ მონაკვეთზე რუისელებმა მანქანებით გზა ჩახერგეს და სამშენებლო ტექნიკას მოძრაობის საშუალება აღარ მისცეს. აქციის მონაწილეების თქმით, სამშენებლო ტერიტორიაზე მოყოლილი მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციები მათ ამ დრომდე არ მიუღიათ. მოგვიანებით, აქციის მონაწილეები დაიშალნენ. (ნიუპოსტი)



# საქართველო ნეიტრალური ქვეყანა ხდება...

## რა დავალებით ჩამოვიდა ჯეიმს აპატურაი

**ჯეიმს აპატურაის ვიზიტსა და ნატო-ს უელსის სამიტს ექსპერტი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, გიორგი თავდგირიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა:**

„ყირიმის პრეცედენტის შემდეგ, რუსეთსა და დასავლეთს (ნატო-ს სამხედრო ბლოკსა და მის მოკავშირეებს) შორის სამხედრო კონფრონტაციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რომელიც შეიძლება ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ყველა ქვეყანას გათვითცნობიერებული აქვს, მსოფლიო მასშტაბის ომის ალბათობა მაღალია, შესაბამისად, ყველა ქვეყანა ცდილობს, ადეკვატური ზომები მიიღოს, რათა მოსალოდნელმა მასშტაბურმა კატასტროფამ ნაკლებად დააზარალოს. ნატო არ დაუშვებს რუსების პროვოცირებას (არ მიგვიღებს ნატო-ში, არ მოგვცემს მაპ-ს), მაგრამ მზად იქნება იმოქმედოს გადამჭრელად და ხისტად საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; რუსეთი არ დაუშვებს ნატო-ს პროვოცირებას, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აქ თვისი ქვედანაყოფები შემოიყვანოს. შექმნილი სტატუს კვო მისაღებია ორივე მხარისთვის და მომგებიანია საქართველოსთვის. ამიტომ, მიმაჩნია რომ ისტერია, ნატოსთან და ე.წ. მაპ-თან მიმართებაში, მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფების (მათ შორის „ნაციონალების“) ინტერესებს უფრო უკავშირდება ვიდრე ქვეყნის. იმედი მაქვს, ფართომასშტაბიანი მსოფლიო ომი თავიდან იქნება აცილებული და ამ შემთხვევაში, ჩვენი უსაფრთხოება, შექმნილი სტატუს კვოდან გამომდინარე, ძალიან მაღალ დონეზეა გარანტირებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც რეალობა უფრო მნიშვნელოვანი გარანტიაა, ვიდრე თუნდაც ნატოს წესდების მე-5 პუნქტი“.

**„ალიას“ გიორგი თავდგირიძე ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, თქვენი პოსტით რის თქმა გინდათ, ერთგვარი რჩევა ხომ არ არის, რომ ხელისუფლებამ ნატო-სთან მოლაპარაკებებისას გაითვალისწინოს?**

– არა, ჩემი პოსტი, რომელიც დავდე, არის მოწოდება ხელისუფლებისთვის, რომ კლიშეებით არ უნდა იაზროვნოს და სიტუაცია რეალურად შეაფასოს.

**— აპატურაი შეხვდა თავდაცვის მინისტრს, პრემიერს, მაგრამ მხოლოდ ზედაპირული განცხადებები გაკეთდა, შემოთავაზებული პაკეტი განვიხილეთ და დეტალებზე ვიმსჯელეთო. კონკრეტული არაფერი უთქვამთ. თქვენ ხომ არ იცით, რას გვთავაზობენ?**

– საქართველოს ხელისუფლებაში გარკვეულმა ჯგუფებმა, ე.წ. პროდასავლურად განწყობილებმა, ნატო-ს აპატურაის პირით უთხრეს, რომ მათი მუშაობა უნდა დაფასდეს და ამის სანაცვლოდ ითხოვენ, ნატო-მ გააკეთოს რამე განცხადება, რომ ეს დაფასება მათ პოლიტიკურ დივიდენდად აქციონ. ამით იყო განპირობებული აპატურაის განცხადება, რომ ე.წ. პროდასავლურად განწყობილმა მინისტრებმა არ დააყენეს საკითხი, ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ. ახლა უელსის სამიტზე რა მოხდება, ეს არავინ იცის, მაგრამ ახლა აპატურაის მიზანია კონკრეტული, რომ ეს სიტუაცია გამოასწოროს, რადგან დიდი დარტყმა მიიღო ამ დაჯგუფებამ. ჩვენ გვგონია, ეს ხალხი ზრუნავს იმაზე, რომ ნატო-ში ინტეგრაცია მოხდეს, ამ დროს ნატოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათ არ დაუყენებიათ საკითხი ნატოში გაწევრიანების შესახებ. არადა, ახლა უკვე ისეთი სიტუაციაა, მაპ-ის მონიჭება რუსეთის გამოწვევას ნიშნავს. უკრაინაში უკვე ჩანს რუსეთთან ღია დაპირისპირება, საქართველოსთვისაც იქნება რუსეთის გამოწვევა.

**— და რა შეიძლება ამ შემთხვევაში შემოგვთავაზონ?**

– ამ ვითარებაში ყოველგვარი იურიდიული ფორმალობების გარეშე, ნატო-ს შეუძლია, განაცხადოს, რომ საქართველოს ის მხარს უჭერს და ყველაფერს გააკეთებს ჩვენთვის.

**— თუ არც მაპ-ს გვაძლევენ და არც ნატო-ში გვიღებენ, რა ვალდებულია, დაგვიცვას? 2008 წლამდეც ასეთი დაპირებები გვესმოდა და ხომ ვნახეთ, არაფერი გაუკეთებიათ.**

– ნატო-სთვის ჩვენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვართ, ამიტომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არაოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსული ჯარი არ დაუშვას. ამ შემთხვევაში, სამხრეთი ფლანგი იკეტება და ნატო წამგებიან პოზიციაში დგება. ეს არის საქართველოსთვის მაღალი გარანტია. ის, ვინც საქართველოს იკავებს, იღებს სამხედრო უპირატესობას, მეორეს მხრივ თავს შეიკავებს რუსეთი, რომ არ გაზარდოს ფრონტის ხაზი, არ შემოიყვანოს მეტი ქვედანაყოფი. იმის გამო, რომ ნატო-ს არ სურს რუსეთის პროვოცირება, იძულებულია, ისიც იგივენაირად მოიქცეს. საუბარია ბუნებრივ ნეიტრალიტეტზე, რომელიც შეიძლება შეიქმნას საქართველოში, მას არავინ აიძულებს, რომელიმე მხარე აირჩიოს, მაგრამ ორივე მხარის მიმართ ექნება ვალდებულებები შესასრულებელი.

**— რა ვალდებულებები კონკრეტულად?**

– არ უნდა იყოს სხვა ქვეყნის სამხედრო ძალები ტერიტორიაზე, ის არ ჩაერევა საბრძოლო მოქმედებებში. ამით გამოვალთ ისე, რომ გვექნება ბუნებრივი ნეიტრალიტეტი. ვნახოთ, სამიტამდე ბევრი რამ შეიძლება გახდეს ცნობილი და მერე შეიძლება ამაზე მსჯელობა.

**— დაბოლოს, ამას წინათ გულისტკივილით აღნიშნავდით, არსად, არც ერთ ევროპულ წყაროში არ აღნიშნავენ აფრიკაში ქართული სამხედრო მისიის შესახებ, ჩვენს ლვაწლსო. რა ხდება?**

– გადავქექე ყველა ევროპული საიტი, ინფორმაცია ამ მისიაზე არის ძალიან მწირი. ლატვიურ წყაროზე ვნახე, გაკვრით წერდნენ ამ მისიაზე. ძალიან მოკლედ ხსნიდნენ, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამხედრო მისიები იქნა გაგზავნილი. კითხვა მაქვს, 196 კაცი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კი, ბატონო, გავაგზავნეთ, მაგრამ განცხადებაც არ ყოფილა, სად ჩავიდნენ, როგორ ჩავიდნენ, ახლა როგორ არიან. უნდა შექმნილიყო სპეციალური სამსახური, სადაც ამ ადამიანების ოჯახებს შეუძლიათ მოიკითხონ მათი ოჯახის წევრი, გაიგონ, როგორ არის ის. იქ უნდა იყოს სურათები და ვიდეოები, სადაც აღწერილი იქნება მათი ყოფა. ამას სახელმწიფოები აკეთებენ იმისთვის, რომ ერთი მხრივ, გაფილტრონ, არ გაიპაროს სამხედრო საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია, მეორე მხრივ, საინფორმაციო შიმშილიც არ გაჩნდეს.

**— მას მერე არ გაგირკვევიათ, როგორ არიან?**

– მე ველოდები ოფიციალურ ინფორმაციას, თორემ მე ვიცი მათ შესახებ, ვიცი, რომ პრობლემა შეექმნათ აკლიმატიზაციის თვალსაზრისით, საკვების პრობლემა არ აქვთ, მაგრამ სამედიცინო პრობლემაც აქვთ. ეს ადამიანები მომზადებული იყვნენ ავღანეთისთვის, შესაბამისი აცრაც გაკეთებული აქვთ, მაგრამ რა აცრები გაუკეთდათ იქ და როდის, ეს უნდა იყოს ოფიციალურად გაცხადებული. გენშტაბის უფროსმა პირდაპირ თქვა, რომ მოუმზადებლები გაუშვეს აფრიკაში, მან აღნიშნა, ფრანგებმა გაუკეთეს აცრებიო. უნდა შექმნილიყო სპეციალური სამსახური, რომელიც გეგმას დადებდა, რა უნდა გაკეთდეს და გაკონტროლდეს, ექიმი რა პერიოდულობით ჩადის და ა.შ.

**ინფორმაციის გადამოწმება „ალიამ“ თავდაცვის სამინისტროში სცადა, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, პრეს-სამსახურიდან არც ლევან ჯორბენაძემ და არც ხათუნა ლეჟავამ ჩვენს ზარებს არ უპასუხეს.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისში ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტები დაფიქსირდა



სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინეს.

სააგენტოს ინფორმაციით, დარღვევები გამოვლინდა თემქის დასახლებაში. ი/მ „ოლია მაღრაძის“ მარკეტში იყიდებოდა ვადაგასული ფარში, ძეხვეული, სერვილადი, თევზის კონსერვი და ნამცხვრები. ვადაგასული სურსათი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდა. ბიზნესოპერატორი კი 200 ლარით დაჯარიმდა.

სააგენტოს სპეციალისტებმა მუხიანში მდებარე შპს „GVG“ მარკეტიდან ამოიღეს დიდი რაოდენობით სხვადასხვა დასახელების ვადაგასული სურსათი, ბიზნესოპერატორი კი 500 ლარით დააჯარიმეს.

ასევე, შესაბამისი დოკუმენტის, ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2-ის გარეშე ახდენდა ხბოს ხორცის რეალიზაციას ი/მ „მალხაზ ჩიქვილაძე“, რის გამოც ბიზნესოპერატორი 1000 ლარით დაჯარიმდა, ხოლო საეჭვო წარმომავლობის ხორცი დაილუქა და წესების დაცვით განადგურდება. (ნიუპოსტი)

## „ბიძინა ივანიშვილი „კარფურის“ საქმიანობასთან კავშირში არ არის“



საქართველოს თანაინვესტირების ფონდი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით ისანი-სამგორის რაიონში „კარფურის“ გახსნა ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული.

„გასულ კვირას სხვადასხვა მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია ისანი-სამგორის რაიონში კომპანია „კარფურის“ ახალი ჰიპერმარკეტის მშენებლობის ფარგლებში ხეების ჭრის თაობაზე, რომელიც დააკავშირეს ბიძინა ივანიშვილთან და საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არც ბიძინა ივანიშვილი და არც საქართველოს თანაინვესტირების ფონდი არანაირ კავშირში არ არიან კომპანია „კარფურის“ საქმიანობასთან და მათ შორის – ახალი ჰიპერმარკეტის მშენებლობასთან. გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## გზების რეაბილიტაციისთვის 75 მლნ დოლარი გვასესხეს



შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, დამატებით, 75 მილიონი აშშ დოლარი მოხმარდება. ხელშეკრულებას ხელი საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა მოაწერეს. მსოფლიო ბანკი საქართველოს აღნიშნულ თანხას გრძელვადიანი სესხის სახით გამოუყოფს.

„პროექტის მთავარი ბენეფიციარები ადგილობრივი მაცხოვრებლები, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და გზით მოსარგებლეები არიან. პროექტის განხორციელების შემდეგ, მათ ბაზარსა და საჭირო მომსახურებებზე მეტი წვდომა ექნებათ“, – აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალიმ.

პროექტის ფარგლებში მოხდება 200 კილომეტრი სიგრძის გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია, რის შედეგადაც სამ ქალაქთან (თელავი, სამტრედია და წალენჯიხა), 126 სოფელთან და დაახლოებით 45 600 ოჯახთან დაკავშირება გამარტივდება, რაც, დაახლოებით, 138 000 ადამიანს გულისხმობს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ნარმანიას და მელიას ტელედებატებში დაშვებული შეცდომები

## ექსპერტ კახა კახიშვილის ანალიზი





**საზოგადოება მსოფლიო ჩემპიონატის გამოყ-ოლილში იყო, როცა კატასტროფული მარცხი განაცდევინა გერმანიამ საკუთარ მოედანზე ბრაზილიას და 7:1 დაამარცხა მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი გუნდი. ამ გამოყოლილის ფონზე გუშინ ვიხილეთ მერობის ორი კანდიდატის — ნარმანია-მელიას დებატები, რამაც ერთგვარი „ლომკა" გააჩინა, ვინაიდან ნიკანორ მელიას შეტევაზე უფრო მეტ დარტყმას ელოდა თბილისელი მოსახლეობა ნარმანიასგან.**

**ვნახოთ, რა შეფასებას მისცემს ამ დებატებს საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი:**

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თბილისის მერობის კანდიდატების დებატების შემდეგ, იქონიებს ამომრჩეველზე გავლენას?**

– არ მგონია, ამ დებატებმა რაიმე ფორმით ამომრჩეველზე რაიმე გავლენა მოახდინოს. ეს დებატები იმით კი არ იყო საინტერესო, რომ მასზე იყო დამოკიდებული ამა თუ იმ კანდიდატის მოგება, იმდენად კონტრასტული პარტიები მონაწილეობენ არჩევნების მე-2 ტურში, არ მგონია, დებატების მოგება-წაგებამ განსაზღვროს მეორე ტურის შედეგები. შეიძლება ნარმანია არ არის ვინმესთვის პოპულარული კანდიდატი, მაგრამ ვინაიდან მისი ოპონენტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ მელია ასოცირებული არ არის აგრესიასთან, ის იმ პარტიის წარმომადგენელია, რომლის მოღვაწეობა კარგად ახსოვს ქართველ ამომრჩეველს, განსაკუთრებით თბილისელებს. ფაქტობრივად, ჩვენ ვნახეთ რიგით მეორე დებატი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ეს კარგი ტენდენციაა...

**— მაინტერესებს, თქვენზე რომელმა კანდიდატმა უფრო მოახდინა შთაბეჭდილება, რომელი გამოიყურებოდა ძლიერად?**

– როდესაც ნიკა მელია საუბრობდა აქციზებისა და საწვავის ფასის დაკლებასთან დაკავშირებით, აქ მაყურებელს ჰქონდა საშუალება მიედევნებინა თვალი იმისთვის, რომ კანდიდატები ხშირ შემთხვევაში იმაზე მეტს ჰპირდებიან მოსახლეობას, რის გაკეთებაც მათ რეალურად შეუძლიათ და რისი უფლებამოსილებაც მათ აქვთ. ნარმანიამ იგივე ტიპის კითხვაზე არ განაცხადა, რომ დაპირება არის შესაძლებელი მილიონ ხესთან დაკავშირებით და დაჟინებით აცხადებდა, რომ ამ დაპირების რეალიზება შესაძლებელი და გათვლილია. მაგრამ საერთო დებატებში მომეჩვენა, რომ თავისუფალი იყო ბატონი მელია, უფრო შემტევითობის პრინციპით ხელმძღვანელობდა, მაშინ, როცა შესაძლებელი იყო ნარმანია მეტად მომზადებულიყო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, მომეჩვენა, რომ ის ძალიან ღელავდა, ნაკლებად თავისუფალი იყო.

**— რამდენად იყო დაცული ეტიკეტი? მაგალითად, მელიამ უთხრა ნარმანიას, — ბიძინამ რომ დაგირეკოს და გითხრას, 12 საათი იდექი, სანამ არ გადმოგირეკავს, ასე იდგებიო. ამით მიანიშნა თუ არა, რომ ის არ არის დამოუკიდებელი თუნდაც დებატების დროს აზროვნებაში? გაცილებით მოზომილი იყო ნარმანია, რომელმაც მელიას უთხრა, — სადაც თავად ცხოვრობ, პირწმინდად წააგე ის უბანიო. საჭირო იყო თუ არა უფრო მეტად კრიტიკული განცხადებები ნარმანიას მხრიდან?**

– თბილისის მოსახლეობამ ზედმიწევნით კარგად იცის მთელი ამ წლების მანძილზე „ნაციონალური მოძრაობა" რას აკეთებდა. მე არ მგონია, რომ ნარმანიას დასჭირვებოდა შეხსენების უსტარი და ამომრჩევლისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, რას სჩადიოდა 9 წლის მანძილზე „ნაციონალური მოძრაობა". ისე, მელიასთვის, რომელმაც მიიტანა დებატებზე ის დანაპირები, რომელიც გასცა „ქართულმა ოცნებამ" და ვერ შეასრულა, რადგან ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა და კარგად არის ამის შესახებ ინფორმირებული საქართველოს მოსახლეობა, მელიას ერჩივნა მიეტანა კონკრეტულად ის სია, რაც, მისი აზრით, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" გააკეთა, რაზეც ის აკეთებს აპელირებას, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ჰქონდა წარმატებული პროექტები. „ნაციონალურმა მოძრაობამ" იმდენი რამ არ გააკეთა და ზოგჯერ გააფუჭა, რომ ამომრჩეველს ისიც კი დაავიწყდა, რა გააკეთა „ნაციონალურმა მოძრაობამ", რადგან მათმა სადამსჯელო პოლიტიკამ გადაფარა ნიკა, მელიას თქმით, მათი დადებითი პროექტები, რაც „ნაციონალების" დროს გაკეთდა. თავდასხმითი დებატი ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობისთვის" მე ვფიქრობ, რომ წამგებიანია, რადგან 9 წლის განმავლობაში ისედაც თავდასხმის რეჟიმში იყვნენ. მელია, რომელიც თავდასხმის რეჟიმში იყო, ზოგ შემთხვევაში ცდილობდა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა ნარმანიასთვის. მართალია, ნარმანია ამას მშვიდად ხვდებოდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ღელავდა.

**— როგორ ფიქრობთ, რა გაგრძელება მოჰყვება მეორე ტურის დასრულებას, იქნება თუ არა საპროტესტო აქციები და მღელვარება?**

– მეორე ტურს მოჰყვება განცხადებები „ნაციონალების" მხრიდან, რომ წაგება განპირობებული იყო ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის ჩარევის გამო და მათი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის დაკავების გამო. ძირითადად აქცენტები ამ ორ საკითხზე გაკეთდება, მეორე ტურის დასრულებას, რა თქმა უნდა, არ მოჰყვება აქციები.

**— გიგი უგულავას დაკავება გახდება თუ არა უფრო მეტი განცხადებების გაკეთების საფუძველი დასავლეთის მხრიდან?**

– გააძლიერებს თუ არა დასავლეთი კრიტიკას, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებს საქართველოს პროკურატურა მტკიცებულებითი ნაწილის უზრუნველყოფას

**„თბილისის მოსახლეობამ ზედმიწევნით კარგად იცის, მთელი ამ წლების მანძილზე „ნაციონალური მოძრაობა" რას აკეთებდა. მე არ მგონია, რომ ნარმანიას დასჭირვებოდა შეხსენების უსტარი და ამომრჩევლისთვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, რას სჩადიოდა 9 წლის მანძილზე „ნაციონალური მოძრაობა"**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „შევარდნაძის წვლილი გერმანიაში არასოდეს დაავიწყდებათ"




გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი საქართველოს ექსპრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„დიდი მწუხარებით შევიტყვე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების ამბავი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მან განუმეორებელი წვლილი შეიტანა ცივი ომის დაძლევასა და გერმანიის გაერთიანების საქმეში. მისი ეს წვლილი გერმანიაში არასოდეს დაავიწყდებათ. საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მან მძიმე წლებში წინდახედულობითა და პასუხისმგებლობით თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა განამტკიცა და საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა და მეგობრობა გააძლიერა. ვუსამძიმრებ მის ოჯახს და ქართველ ხალხს", – ნათქვამია მერკელის განცხადებაში. (რეპორტიორი)



**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" აცხადებს №CONST-14//15 ღია კონკურსს სხვადასხვა სახის ქიმიური მასალის შეძენასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1 -- გოგირდმჟავა;
ლოტი 2 -- მწვავე ნატრიუმი;
ლოტი 3 — ოქსიეთილიდენდიფოსფონმჟავა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 10 აგვისტო 15 საათი.***

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" აცხადებს №INVO-14/12 წინადადებების ღია გამოკითხვას ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების შემუშავებასა და დანერგვაზე ISO 14001:2004 სტანდარტის თანახმად.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 ივლისი 15 საათი.***

*მეხუთე გვერდიდან*

სასამართლო განხილვების დროს. ვინაიდან რა განსხვავებაა, მაგალითად, იგივე უკრაინის პრეზიდენტის პასუხისმგებლობასა და თუნდაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თანამდებობის პირების დაკავებებთან შედარებით? უკრაინის სამართალდამცავმა სისტემამ, ახალმა ხელმძღვანელობამ შეძლეს და დასავლეთს უჩვენეს ძველი მთავრობის მმართველობის რეალური სახე არა უბრალოდ პოლიტიკური განცხადებებით, არამედ დოკუმენტები წარადგინა. საქართველოს ხელისუფლებამ მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი წელია, რაც ხელისუფლებაშია, ვერ შეძლო და რამდენიმე ეპიზოდური ბრალდების გარდა, დასავლეთს ვერ აჩვენა „ნაციონალური მოძრაობის“ სახე და ის ბერკეტები, რომლითაც „ნაცმოძრაობა“ მართავდა ქვეყანას. მათ სისტემური დანაშაულის საქმეები მტკიცებულებებით გამყარებული უნდა დაედოთ, მაგალითად, როდესაც პოლიტიკური თანამდებობის პირების ნებით იყო შექმნილი სადამსჯელო მექანიზმები სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, პოლიტიკური ნებით ხდებოდა ადამიანების ცემა-წამება, სექსუალური ძალმომრეობითი მოქმედებები პოლიციასა და უშიშროებაში. როდესაც ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების დაკვეთით ხდებოდა ქონების უკანონო წართმევა და უდანაშაულო ადამიანების იზოლირება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, შემდგომში კი საპროცესო შეთანხმებაზე ვაჭრობა. აი, ეს ყველაფერი საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ვერ წამოსწია, რაღაც ეპიზოდური ბრალდებები მითვისება-გაფლანგვასთან დაკავშირებით, არ არის სწორი დემონსტრირება იმ ბერკეტებისა, რითაც ქვეყანას მართავდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. თუ უგულავას საქმის განხილვა დასრულდა გამამართლებელი განაჩენებით, რა თქმა უნდა, უფრო კრიტიკულად შეუდგება დასავლეთი ამ ფაქტების განხილვას. ჩემი აზრით, ამ ხელისუფლების ზოგიერთმა არასწორმა გადაწყვეტილებებმა, მოახდინა იმ პროცესის დისკრედიტაცია, რომელსაც, წესით, ჩვეულებრივი საგამოძიებო პროცესი უნდა დარქმეოდა, რომლის შედეგადაც უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება იქნებოდა შესაძლებელი ქვეყანაში. მაგრამ თუნდაც ავიღოთ რასმუსენის ვიზიტის დროს მერიის 21 თანამშრომლის დაკავების ფაქტი, როდესაც შემდგომში განაცხადეს, რომ თურმე მათ ასეირნებდნენ. როდესაც გაუგებარი ბრალდებების საქმეები იგზავნებოდა სასამართლოში, რაც გამამართლებელი განაჩენით სრულდებოდა. ერთი მხრივ, ეს არგუმენტია „ნაცმოძრაობის“ ხელში, ავად თუ კარგად დაასაბუთოს, რომ მათ მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა. ამ ხელისუფლებამ ჯერჯერობით სისტემური დანაშაულის შესახებ საქმეები სასამართლოში არ წარმართა. როგორ ფიქრობთ, როდესაც დღევანდელმა ხელისუფლებამ შინაგან საქმეთა სამინისტროში და თავდაცვის სამხედრო პოლიციაში აღმოაჩინა 27 ათასზე მეტი უკანონოდ მოპოვებული ფარული თვალთვალისა და მოსმენის ფაილები და ამ საქმესთან დაკავშირებით არც ერთი ადამიანი არ არის პასუხისგებაში მიცემული. როგორ ფიქრობთ, როცა 26 მაისთან დაკავშირებით მხოლოდ ვანო მერაბიშვილი იხდის სასჯელს, არ არიან გამოკვეთილნი ის ადამიანები, რომლებიც ვანო მერაბიშვილთან ერთად ისხდნენ და მიტინგის დარბევას გეგმავდნენ. იგივე იმდროინდელი გენერალური პროკურორი ბატონი ადეიშვილი, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები... ვინმეს სჯერა, რომ მხოლოდ ვანო მერაბიშვილის დონეზე გადაწყდა 26 მაისის მიტინგის დარბევა და პოლიციის მხრიდან ასეთი ტიპის დანაშაულის ჩადენა?.. რომ არ ყოფილიყო პროკურატურის ხელშეწყობა საქმეების „გაპრავების“ კუთხით, რომ არ ყოფილიყო სასამართლოს ხელშეწყობა, იმის ნაცვლად, რომ ობიექტურად განეხილათ დაზარალებულების საქმეები, პირიქით, იზოლაცია ხდებოდა სხვადასხვა მიზნებით და მიზეზებით. საპატიმრო დაწესებულებებში კი 26 მაისის გამო მხოლოდ ვანო მერაბიშვილია. საქმეები, რომლის გახსნასაც აანონსებდა პროკურატურა, ჩვენ ვხედავთ, რომ რეალურად არ მისულა სასამართლომდე, ხელისუფლება შემოიფარგლება პრინციპით, – აი, თქვენ 9 წლის მანძილზე ამას აკეთებდითო, მაგრამ ამ რიტორიკამ ნელ-ნელა უკვე თავი ამოწურა, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს გაუჩნდათ ლოგიკური კითხვა, – თუ ამას ვაკეთებდით, რატომ არც ერთი საქმე არ არის გამოძიებული, რაც ადასტურებს ჩვენი წარმომადგენლების მიმართ დანაშაულს.



„თავდასხმითი დებატი ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მე ვფიქრობ, რომ წამგებიანია, რადგან 9 წლის განმავლობაში ისედაც თავდასხმის რეჟიმში იყვნენ. მელია, რომელიც თავდასხმის რეჟიმში იყო, ზოგ შემთხვევაში ცდილობდა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა ნარმანიასთვის“



„ხელისუფლებამ მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი წელია, რაც ხელისუფლებაშია, ვერ შეძლო და რამდენიმე ეპიზოდური ბრალდების გარდა, დასავლეთს ვერ აჩვენა „ნაციონალური მოძრაობის“ სახე და ის ბერკეტები, რომლითაც „ნაცმოძრაობა“ მართავდა ქვეყანას“

**— არჩევნების შემდეგ მოსალოდნელია დიდი დაჭერები, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ საბოლოოდ პოლიტიკურად გაანადგურებს. შეიძლება ამას ვუწოდოთ რეჟიმის გასამართლების დასაწყისი?..**

– ფაქტია, რომ ძალიან ბევრი საქმეებია თაროზე შემოდებული, ისიც ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ არჩევნების შედეგად მიიღო მოსახლეობის გზავნილი, რომ ხალხი ასეთი ტიპის დამოკიდებულებას აპროტესტებს, როგორიც გაუჩნდა ახალ ხელისუფლებას მთავრობაში მოსვლის შემდეგ, ამის გამოსასწორებლად რას მოიფიქრებს ხელისუფლება, ეს ჩემთვის უცნობია. მთავარი ის კი არ არის, რომ ვილაც დააკავო, მთავარია, რომ წაყენებული ბრალის დამტკიცება სასამართლოში უზრუნველყო, რათა კიდევ ერთხელ ხელისუფლებამ სასაცილო ვითარებაში თავი არ ჩაიგდოს. მე ვფიქრობ საგამოძიებო პროცესი იმაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, რომელი პოლიტიკური პროცესის დროს რომელი საქმის წამოწევაა ხელსაყრელი, არამედ იმაზე უნდა იფიქრონ, რომელ საქმეზეა მტკიცებულებები იმდენად მყარი, რომ შემდგომში არ იყოს, ერთი მხრივ, სასამართლოზე გადაბრალება და მეორე მხრივ, სასამართლოს მხრიდან პროკურატურაზე გადაბრალება.

**— დაბოლოს, პირველ ტურზე მოსახლეობის 70%-მა არჩევნებს პროტესტი გამოუცხადა. გააქტიურდება თუ არა მეორე ტურზე ამომრჩეველი?**

– არა მგონია, მეორე ტურზე ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა იყოს, ვფიქრობ, ამ არჩევნებში ძირითადად მონაწილეობას მიიღებენ პარტიისა და კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მხარდამჭერები.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთში აშშ-ს ელჩად ჯონ ტეფტი დაინიშნება



ოფიციალური მოსკოვი თანახმაა, აშშ-ს ელჩად რუსეთის ფედერაციაში ჯონ ტეფტი დაინიშნოს. ტეფტი აშშ-ს ელჩი უკრაინაში 2009 წლიდან 2013 წლამდე იყო. 2000-2003 წლებში ტეფტი ელჩად ლიტვაში იყო დანიშნული, 2005-2009 წლებში კი საქართველოში ასრულებდა იმავე მოვალეობას. (ნიუპოსტი)

## „ქართული ოცნება“ განცხადებას ავრცელებს



კოალიცია „ქართული ოცნება“ უარყოფს „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატის შოთა გოგიბერიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად სრულიად კოალიცია მხარს მას უჭერს. აღნიშნულთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ განცხადებას ავრცელებს.

„ვაცხადებთ, რომ ეს ადამიანი იყო კოალიციაში შემავალი პარტიის „ეროვნული ფორუმის“ წევრი და გვევლინებოდა „ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარედ ქ. ოზურგეთში. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, მას ამოძრავებდა მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესები და სწორედ ამიტომ დატოვა კოალიცია და გადავიდა იმ პარტიაში, რომელიც მას შეჰპირდა, რომ წარადგენდა ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად; ვუცხადებთ ქ. ოზურგეთის მოსახლეობას, რომ როგორც პარტია „ეროვნული ფორუმი“ ასევე კოალიციაში შემავალი ყველა პარტია და „ქართული ოცნება“ არ ითვლება მის მხარდამჭერად და კოალიციის ყველა სუბიექტი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს მის მიერ წარმოდგენილ მერობის კანდიდატს ბეგლარ სიორიძეს. (ნიუპოსტი)

## ქართველი სერჟანტი ერაყში ჯიჰადის ლიდერი გახდა



28 წლის უმარა აშ-შიშანი უკვე რამდენიმე თვეა სირიისა და ერაყის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სირიის და ერაყის სამხედრო სიახლეებში ხვდება.

აშ-შიშანი ცნობილია, როგორც „წითური გენერალი“, ის ხელმძღვანელობს ლევანტასა და ერაყის ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოეთ სექტორს. შიშანს რადიკალურ ისლამისტურ საბრძოლო დაჯგუფებაში მაღალი პოზიციები უჭირავს. ისლამისტების მეთაურს თავის სამშობლო საქართველოში სხვა სახელით იცნობენ, ის სირიაში გამგზავრებამდე იყო თარხან ბათირაშვილი და ცხოვრობდა სოფელ ბირკიანში, მსახურობდა ქართულ არმიაში, ხოლო მანამდე იყო მწყემსი.

თარხანის მამა „ბი-ბი-სი“-თან საუბარში აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, როდის მოხვდა მისი შვილი ვაჰაბისტების რიგებში, ის გაოცებულია, როდესაც პრესის საშუალებით იგებს, რომ მის შვილს „ალ-ქაიდაშიც“ იცნობენ.

„აგვისტოს ომამდე თარხანი არ იყოს ასეთი, თავის ძმას თენგიზსაც უკრძალავდა ამგვარ საქმეებში გარევას, ახლა კი გაზეთებში წერენ, რომ ის ისლამისტების ლიდერია და „ალ-ქაიდაშიც“ იცნობენ. აზრზე ხარ, სადამდე მივიდა მისი ცხოვრება?!“ – აღნიშნა თარხანის მამამ.

თარხანის მამა იხსენებს, რომ მესამე შვილი უნდოდა, გოგო ჰყოლოდა, რადგან თვლის, რომ ამ შემთხვევაში ამდენი სანერვიულო აღარ ექნებოდა.

„სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ ოჯახურ ალბომში მისი არც ერთი ფოტო არ არის, მათი კანონებით არ შეიძლება რაიმე სახით გამოსახულების შენახვაც კი. ჩემი შვილი ძალიან სიმპათიური ბიჭი იყო, ეს ახლაა ასე... რომ დიდი წვერები მოუშვია“, – დასძინა ქართველი სერჟანტის მამამ. (ნიუპოსტი)

## ვაკის პარკთან ავარია მოხდა




თბილისში, ვაკის პარკთან ავარია მოხდა. აბაშიძის ქუჩაზე მსუბუქი მარკის ავტომობილი გაჩერებულ მანქანას შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ხუთი ავტომობილი დაზიანდა. შეჯახების გამო სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო ერთმა მამაკაცმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)



ქორეპისკოპოსი უნდა აღიქმებოდეს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლად. მისი სტატუსის მქონე სასულიერო იერარქის ეკლესიასთან ამგვარი კავშირის არსებობას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის შესაბამისად, „ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით)“, რაც გულისხმობს, რომ ქორეპისკოპოსის მიერ მისი სტატუსისა და უფლებამოსილების

– ამ შემთხვევაში ჩვენ ამოვდივართ საარჩევნო კოდექსიდან, რომელიც ამბობს, რომ, როცა ადგილი აქვს საარჩევნო აგიტაციის წესების სავარაუდო დარღვევას, ეს არის სამართალდარღვევა, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დაარღვევს მას. თუ არის ვარაუდი, რომ პირმა დაარღვია ის ნორმა, რაც ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ცესკოსგან ვითხოვთ, იმსჯელოს, ჰქონდა თუ არა ადგილი სამართალდარღვევას და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაფორმდეს ოქმის სახით.

**— მერე რა იქნება?**

– შემდეგ სასამართლო იმსჯელებს დაჯარიმების თაობაზე.

**— ანუ ჯარიმას მოითხოვთ? და რამდენს?**

– დიახ, თუ დადგინდება დარღვევა და საბოლოო გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი, პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია 2 000-ლარიანი ჯარიმა.

**— ის თუ გაითვალისწინეთ, რომ მეუფე ია-**

როგორც ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ეკა აზარაშვილმა „ალიას“ განუცხადა: „რაც წერია განცხადებაში, ჩვენთვის მეტი არ არის ცნობილი. გარდა იმისა, რომ მოგვმართეს არასამთავრობოებმა, წერილობითი განცხადება გადმოგვიგზავნა უწყებათაშორისმა კომისიამაც. ცესკომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება განცხადებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, ქორეპისკოპოს იაკობის სახელზე გაგზავნილია წერილი, სადაც არის თხოვნა, რომ წერილობითი მოსაზრება წარმოადგინოს 5 დღის ვადაში. მერე დაიწყება მსჯელობა და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუ არ იმსჯელა ცესკომ და გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული.

**მეუფე იაკობთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს ეკლესიის წინააღმდეგ მორიგი ტალღის აგორე-**

# „ეს ახალი ეტაპია ეკლესიასთან ბრძოლის, რომელსაც ჰქვია ეკლესიის საზოგადოებისგან გაყოფის მცდელობა“

არასამთავრობო ორგანიზაციები ქორეპისკოპოს იაკობის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ცესკოს-ს რეაგირებისკენ მოუწოდებენ. მათი განცხადებით:

„ქორეპისკოპოსი საკვირაო ქადაგებისას მოუწოდებს მრევლს, არ დაუშვან კონკრეტული პოლიტიკური პარტიის კანდიდატის გამარჯვება და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში. კონკრეტულად რომელი სუბიექტები შეიძლება, განვიხილოთ რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლად საარჩევნო კოდექსით დადგენილი შეზღუდვის მიზნებისთვის, ინტერპრეტაციის საგანია, თუმცა განსახილველ შემთხვევაში საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებისთვის ფარგლებში გაკეთებული საჯარო გამოხატვა უნდა აღიქმებოდეს რელიგიური ორგანიზაციის პოზიციად“. – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

**რა რეაგირებას ითხოვენ არასამთავრობოები კონკრეტულად?**

**„ალია“ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენელს, ლინა ღვინიანიძეს ესაუბრა:**



**„რეჟიმს, რომელსაც ჰყავს რელიგიის, სინდისის პატიმრები, არის უსინდისო. ამიტომ, ამ უსინდისობაზე რომ ქორეპისკოპოსმა თქვას, რა არის გაუგებარი და გაურკვეველი? რა თქმა უნდა, აყვირდებოდნენ ის არასამთავრობოები, რომლებიც განცხრომაში იყვნენ, ხალხი რომ იტანჯებოდა, ჩვენ კი ციხეებში ვიყავით, არ დაგვკლებია ცემა და ელექტროშოკები. მაშინ ეს არასამთავრობოები რამდენიმე მილიონი დოლარით ფინანსდებოდნენ.“**

**კობი, გარდა იმისა, რომ სასულიერო პირია, არის მოქალაქეც და მას საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება აქვს, რომელიც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული?**

– ეს არ არის სისხლის სამართლის საქმე და არც რიგითი მოქალაქის პოზიცია. მეუფე იაკობი გახლავთ რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი და რახან ეს იყო საჯარო მოქმედება, ასეთ შემთხვევაში მისი განცხადება წარმოადგენს რელიგიური ორგანიზაციის პოზიციას. ეს საკითხი არის მტკიცების საგანი, რა თქმა უნდა, და იმედია, ცესკო მოგვცემს საშუალებას, რომ მან დააფიქსიროს პოზიცია ამ საკითხზე.

**ბად აფასებს საპატრიარქოსთან დაახლოებული პირი ლევან ჩიჩუა:**

– ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, ეს არასამთავრობოები როგორი სატელიტი ორგანიზაციებიც იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ და იმ რეჟიმის დროს გამოირჩეოდნენ იმით, რომ ხელისუფლებას „აპრავებდნენ“. ახლაც იგივე მეხუთე კოლონის როლს ასრულებენ. შეტანილი ჰქონდათ სასამართლოში განცხადება მიწის მორატორიუმთან დაკავშირებით.

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობისთვის“ ხმის მიცემა, მოსახლეობისთვის სულში ჩაფურთხებას ნიშნავს“




არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლეს“ წარმომადგენლები, საზოგადოებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მონაწილეობისკენ მოუწოდებენ.

„არჩევნებში ერთმანეთს „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ უპირისპირდებიან. „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემა საქართველოს მოსახლეობისთვის სულში ჩაფურთხებაა, მათ მიერ განვლილი 9-წლიანი დანაშაულებრივი ქმედებების გამო. დედაქალაქში „ქართული ოცნებისთვის“ მხარის დაჭერას ერთი პირობა აქვს – წარსულის აჩრდილის დაბრუნება, ბევრად უფრო მტკივნეული იქნება ჩვენთვის. არჩევნების დასრულების შემდეგ, ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ, რათა ხელისუფლებამ შეასრულოს ყველა ის დაპირება, რაც არჩევნებამდე უხვად გასცა“. – განაცხადა იური ვაზაგაშვილმა. (რეპორტიორი)

ხრამი-1
KHRAMI-1

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-03-2014 ღია კონკურსს №3 ჰიდროაგრეგატის კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330829, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 10 აგვისტო 15 სთ.***

ხრამი-1
KHRAMI-1

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2014/06 ფასთა ღია გამოკითხვას №3 შიბერული საკეტის შეკეთებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1’’-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 ივლისი 15 საათი.***

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ეს ერთი ნორმალური აქტი იქნა მიღებული და ისიც გააპროტესტეს. მთელმა საქართველომ იცის, რომ ისინი დაფინანსებულები არიან უცხოეთიდან. მე რომ ვიყო ხელისუფალი, ამ ტიპის ორგანიზაციებს საერთოდ ავკრძალავდი.



**„ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ რა განცხადება გააკეთა ხელისუფლებამ, ხომ ნახეთ? რა თქმა უნდა, ეკლესია ამას იტყვისო, მაგრამ ჩვენ სახელმწიფო ვართ და ჩვენ უნდა მივიღოთ ეს კანონი, ეკლესიამ კი უნდა ილაპარაკოსო. ზუსტად ის მიდგომებია, როცა ლომაია აცხადებდა, რა საჭიროა სასულიერო პირების შეხვედრა მოსწავლეებთანო და სალოცავი კუთხეებიც აიკრძალა.“**

წინა ხელისუფლების კურსი არ შეცვლილა, ის დაპირისპირება ეროვნულ ცნობიერებასთან და ჩვენს ქართულ სულიერებასთან, რისი მესაჭეც არის ჩვენი დედა ეკლესია, იგივე მიდგომებია. ჯერ კიდევ შარშან ვაფრთხილებდი მოსახლეობას, რომ, თუ ავირჩევთ ან „ნაციონალურ მოძრაობას“, ან „ოცნების“ კანდიდატს, იცოდეთ, რომ უფრო მეტი ზეწოლა იქნება ქართულ ცნობიერებასა და სულიერებაზე-თქო. ჩვენ გვახსოვს ისიც, რომ მეუფე იაკობი აზიარებდა ბიძინა ივანიშვილს და ამას ტელევიზიით გადასცემდნენ.

მუხლებზე დაჩოქილი, სანთლებით ხელში პატრიარქს ხელზე ემთხვეოდა, მოვიდა ხელისუფლებაში და „მოქალაქის“ დაფუძნებაზე პირდაპირ მოუწოდა ამ არასამთავრობოებსა და საზოგადოებას, ჩვენთვის დოგმები არ არსებობს, ეკლესიაც უნდა ვაკრიტიკოთ და პატრიარქიცო. ეს კარგი და ნორმალურიაო. ამ განცხადებით მწვანე შუქი აუნთო ყველას.

ეს ახალი ეტაპია ეკლესიასთან ბრძოლის, რომელსაც ჰქვია ეკლესიის საზოგადოებისგან გაყოფის მცდელობა. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ რა განცხადება გააკეთა ხელისუფლებამ, ხომ ნახეთ? რა თქმა უნდა, ეკლესია ამას იტყვისო, მაგრამ ჩვენ სახელმწიფო ვართ და ჩვენ უნდა მივიღოთ ეს კანონი, ეკლესიამ კი უნდა ილაპარაკოსო. ზუსტად ის მიდგომებია, როცა ლომაია აცხადებდა, რა საჭიროა სასულიერო პირების შეხვედრა მოსწავლეებთანო და სალოცავი კუთხეებიც აიკრძალა. მაშინ ამბობდა ლომაია, ეკლესია, რა თქმა უნდა, გააპროტესტებს ამას, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთო. ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის – აი, ეს კურსი აქვს „ოცნებას“. მას და „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთი და იგივე თავები აკონტროლებენ უცხოეთიდან. ჩვენ არ გვყავს თავისუფალი ხელისუფლება და ეს ჩვენი ბრალია.

**— პატრიარქი საქართველოში არ იმყოფება ახლა და რატომღაც ისე ხდება ხოლმე, რომ სულ მისი არყოფნის დროს წამოჰყოფს ხოლმე თავს მსგავსი საკითხები. ეს უბრალოდ დამთხვევაა?**

– ქორეპისკოპოსის მოვალეობაც სწორედ ის არის. როცა უწმინდესი ქვეყანაში არ არის, ან ავადაა, მისი ლოცვა-კურთხევით წირვას ატარებს ქორეპისკოპოსი და ის ქადაგებს. მეუფე იაკობს არაფერი განსხვავებული არ უთქვამს ქართველი მრევლის პოზიციისგან. ეს დამოკიდებულება, რაც არის „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დამნაშავე რეჟიმის მიმართ, ამას იზიარებს ეპისკოპოსი. ყველაზე მეტად სასულიერო პირებმა იციან ერის განწყობა, რადგან, მოგეხსენებათ, როცა ადამიანი გულს უშლის მოძღვარს და თავის დამოკიდებულებებზე ესაუბრება, იქ უშუალო საუბარში მოძღვარს აქვს ის ინფორმაცია, რაც ერში მუსირებს. მე თავად ვარ სინდისის პატიმარი, პატრიარქმა მაღიარა პოლიტპატიმრად. რეჟიმს, რომელსაც ჰყავს რელიგიის, სინდისის პატიმრები, არის უსინდისო. ამიტომ, ამ უსინდისობაზე რომ ქორეპისკოპოსმა თქვას, რა არის გაუგებარი და გაურკვეველი? რა თქმა უნდა, აყვირდებოდნენ ის არასამთავრობოები, რომლებიც განცხრომაში იყვნენ, ხალხი რომ იტანჯებოდა, ჩვენ კი ციხეებში ვიყავით, არ დაგვკლებია ცემა და ელექტროშოკები. მაშინ ეს არასამთავრობოები რამდენიმე მილიონი დოლარით ფინანსდებოდნენ. როცა სახელმწიფო პოლიტიკა არის ისეთი, რომ ამ არასამთავრობოებს შენ ეკლესიას მიუსევ, მერე კი კულისებს მიღმა დგები, ეს უკვე საშიში ტენდენციაა. ასევე საშიშია ის, რომ ეკლესიას ყოფ საზოგადოებისგან, ეს იგივეა, ადამიანის სული გაყო ხორცისგან. ასე ადამიანი იქცევა ლეშად, გვამად, სახელმწიფოც ისეთივე გვამი გახდება, თუ ეკლესიას ასე მოექცევა. სახელმწიფო და ეკლესიის ძალისხმევა როცა გაერთიანებულია, მაშინ არის ქვეყანა ფეხზე დამდგარი.



**„როცა სახელმწიფო პოლიტიკა არის ისეთი, რომ ამ არასამთავრობოებს შენ ეკლესიას მიუსევ, მერე კი კულისებს მიღმა დგები, ეს უკვე საშიში ტენდენციაა.“**

**— ვინ არის ამ პროცესების დირიჟორი?**

– ეკლესიის ისტორია ამბობს, თუ გინდა, საზოგადოება აკონტროლო და მართო, ის ჯერ უნდა გარყვნა, ფესვებს მოაცილო. ყველაზე დიდი დამცველი არის ეკლესია, ამიტომ არის ასეთი გააფთრებული ბრძოლა მის წინააღმდეგ. ეს დირიჟორები არიან მსოფლიო ელიტის მმართველები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში სასურველ ხელისუფლებებს ლობირებენ, აწყობენ გადატრიალებებს, ყიდულობენ სახელმწიფო პირებს. ჩვენ გვყავს მარიონეტი ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ ასრულებს დაკვეთებს. საბჭოთა კავშირის დროს რუსეთის რესპუბლიკა ვიყავით, ახლა ვიმართებით ამერიკის საელჩოდან.

**— რა ხდება თავად ეკლესიაში, სასულიერო პირებში რა განწყობაა?**

– „ნაცების“ პერიოდში და დღესაც არიან ეპარქიების მმართველებად ის ადამიანები, რომლებიც მიშას სურათებს აკრავდა ტაძრებში, ზოგი დავით აღმაშენებელს ეძახდა და ზოგი „მიშა, მაგარიას“ აკვრევინებდა. მახსოვს, ერთ-ერთი იერარქი შემოვიდა ზონაზე, ამბობდა, დღეს თამარის ხანაში ვცხოვრობთ, 35-კილოანი ოქროს სახარება და ხატი დაიწერა, მაგრამ თამარის დროსაც იყო ხალხი, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ხელისუფლების, ოპოზიცია მათაც ჰყავდათო. რომ დაუსვეს შეკითხვა, აგერ, ჩვენთან სხედან ბიჭები სარწმუნოების გამოო, იმან იცით, რა უპასუხა? მერე რა, ეგენი, სამაგიეროდ, ცხონდებიანო. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, შეიძლება, დაავადდეს, ამიტომ მკურნალობაა საჭირო. ბევრმა სასულიერო პირმა კაბა გაიხადა და საქართველოც დატოვა. მინდა, გავაფრთხილო შერწყმული ხელისუფლება, სჯობს, ეკლესიას თავი დაანებონ და ქვეყანას მიხედონ. ახლა რაზე უჩივიან მეუფე იაკობს? იმ დონის უმეცრები არიან, რომ არ იციან, ეკლესიის წარმომადგენელი მოქალაქეცაა, ეს მისი აზრია და როცა ეკლესიის წარმომადგენელი საუბრობს, ეს სინოდის გადაწყვეტილებაა. თვით პატრიარქიც კი, როცა განცხადებას აკეთებს, თუ სინოდთან არ არის შეთანხმებული, მისი პირადი განცხადებაა და მისი პირადი აზრია. სამწუხაროდ, მისი სიბრძნის გამზიარებელი ხელისუფლება არ გველირსა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-ს აკადემიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტორიზაცია მიიღო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა. უახლოეს მომავალში აკადემიაში საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება. პროგრამის მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისთვის მოამზადოს საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე სათანადო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი, საპოლიციო ფუნქციების განმახორციელებელი, აკადემიური განათლების მქონე თანამშრომლები. (ნიუპოსტი)

## „ქალბატონო ნინო, ვერ გავიგე?!“




„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, გიორგი გაჩეჩილაძე „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერს, ნინო ბურჯანაძეს მიმართავს:

„ქალბატონო ნინო, ვერ გავიგე?! მცხეთაში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უჭერთ მხარს, თქვენ და თქვენი ლიდერები; რუსთავში – „ნაციონალურ მოძრაობას“; თიანეთშიც – „ნაციონალურ მოძრაობას“... იქნებ რამე საერთო პოზიცია გამოიმუშავოთ, გაერკვიეთ, რა გინდათ ზოგადად პოლიტიკაში, ვისთან ხართ და როგორ ხართ.

მესმის, რომ თქვენი ამგვარი საქციელით „ქართული ოცნების“ მიმართ ერთგვარ მადლიერებას გამოხატავთ, რომ ხელს გიწყობდნენ და გაპიარებდნენ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რაღაც პრინციპი უნდა გჰქონდეს!“, – განაცხადა გაჩეჩილაძემ. (რეპორტიორი)

## ომბუდსმენი ჯაბა ანანიძის საქმეზე გამოძიების დაწყებას ითხოვს



სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძის მხრიდან ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის მიმართ განხორციელებული სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე.

„მიმდინარე წლის 8 ივნისს ტელეარხ 25-ის ეთერში ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, გადაიცა ანანიძის საავტორო ფილმი, რომელიც შეეხებოდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საქმიანობას. ჟურნალისტის განმარტებით, ფილმის დასრულებიდან რამდენიმე წუთში მას პირად მობილურზე დაუკავშირდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე, რომელიც ეთერში გასული ფილმის შინაარსის გამო ჟურნალისტს ემუქრებოდა. სახალხო დამცველის მიმართვის პასუხად, მიმდინარე წლის 1-ელ ივლისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ჟურნალისტ ჯაბა ანანიძესა და მედეა ვასაძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერისა და სხვა დამატებითი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად პროკურატურა მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ცნობს საგამონაკლისო ნორმებს, რომელიც საშუალებას მისცემს საგამოძიებო ორგანოებს, უარი თქვან გამოძიების დაწყებაზე, მეტიც, ისინი ვალდებული არიან, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა, რათა ეფექტურად გამოავლინონ დანაშაულებრივი ქმედებები და სათანადო რეაგირება მოახდინონ კანონდარღვევებზე. ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი ადგენს გამოძიების დაწყების მოვალეობას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება მედეა ვასაძის მხრიდან ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული სავარაუდო უკანონო ქმედებების თაობაზე, ვინაიდან მხოლოდ დროული და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებებით არის შესაძლებელი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# დამნაშავე მოსამართლეებზე მტკიცებულებების მოპოვება დასრულებულია

## რას აპირებს ირმა ინაშვილი?

**როგორც „პატრიოტთა ალიანსის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ირმა ინაშვილმა დააანონსა, ის და მისი თანამოაზრეები დამნაშავე მოსამართლეთა მხილებას იწყებენ.**

**„ალიას" ირმა ინაშვილი ესაუბრება:**

– 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ჩვენ ვნახეთ, რომ სასამართლომ ყველა დავალების შესრულება დაიწყო, რაც „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესში შედიოდა. მოსამართლეთა დიდი ნაწილი კვლავ „ნაციონალური მოძრაობის" მონად რჩება. ძალიან დიდხანს ველოდებოდით, რომ სასამართლო „ნაციონალური მოძრაობის" წნეხისგან განთავისუფლდებოდა, მაგრამ ეს არ ხდება.

**— „ალია-ქრონიკას" არაერთხელ უმხილებია კონკრეტული მოსამართლეები უკანონო გადაწყვეტილების გამოტანაში, რუბრიკების სახით გადიოდა ნომრიდან ნომერში, მაგრამ არ გვახსოვს, ვინმე დაესაჯოთ. თქვენ რამე განსაკუთრებულს აპირებთ?**

– ალბათ, გახსოვთ, რომ გასულ წელს გავმართეთ აქციები არჩილ კბილაშვილის გადადგომის მოთხოვნით, რომელიც არაფერს არ აკეთებდა, გახმაურებული საქმეების გამოძიებაც კი არ ხდებოდა და ამ აქციების შემდეგ გადადგა კბილაშვილი. ჩვენი მოთხოვნაც ეს იყო, რომ პროკურატურა განთავისუფლებულიყო უუნარო მთავარი პროკურორისგან, შემდეგ უკვე ნახეთ, რომ დაიძრა პროცესი და რაღაცას მაინც აკეთებენ. ცხადია, რომ პროკურატურა ახლა გაცილებით ეფექტურად მუშაობს, ვიდრე კბილაშვილის პერიოდში.

**— მთავარი პროკურორი ერთია და ამდენ მოსამართლეს როგორ გასწვდებით?**

– სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში გახსოვთ, ალბათ, არსებობდა აქციათა ქსელი „ამხილე ჯალათი", „ამხილე ქონების წამრთმევები, მწამებლები", ამავე აქციათა ქსელში შედიოდა „ამხილე უსამართლო მოსამართლეები". ახლაც იგივეს ფორმატს ვგულისხმობ, მესამე სექტორი უნდა გააქტიურდეს ერთადერთი მოთხოვნით, გამოვლინდნენ და დაისაჯონ დამნაშავე მოსამართლეები. მესამე სექტორმა საერთოდ მიიძინა და აღარ რეაგირებს არც ერთ ფაქტზე. ყველა უნდა გამოვიდეთ და დავიწყოთ ბრძოლა და მხილება იმ მოსამართლეებისა, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" მონები არიან და ასრულებენ იმ დაკვეთას, რასაც „ნაცმოძრაობა" აძლევთ. აუცილებლად დაიწყება აქციები, მხოლოდ ამ მოთხოვნით, – დაისაჯონ დამნაშავე მოსამართლეები. ამ მოსამართლეებმა თუ არ იგრძნეს წნეხი და საზოგადოების აქტიურობა, რომ მათ გამადიდებელი შუშით ვაკვირდებით, ისინი გააგრძელებენ დაკვეთის შესრულებას. ხომ არ გამოვათრევთ სასამართლოს შენობიდან და ჩვენ ხომ არ წავიყვანთ პროკურატურაში დაკითხვაზე. ჩვენი მოვალეობაა, დავანახოთ მათ ჩვენი სიძლიერე და ის, რომ დაინტერესებული ვართ მათი მხრიდან სამართლიანი გადაწყვეტილებით.

**— გაქვთ კონკრეტულ მოხელეთა დანაშაულის მტკიცებულებები?**

– კი, ნამდვილად გვაქვს, არაერთი ჟურნალისტური გამოძიებაა უკვე დასრულებული მოსამართლეთა უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით და დავიწყებთ ამ მტკიცებულებების გამომზეურებას. სწორედ ასე ვამხელ მათ. აუცილებლად მოხდება ეს, დაახლოებით ორი კვირის ვადაში. აქ არის საუბარი სქემაზე, რომლითაც ემსახურებიან კონკრეტული მოსამართლეები „ნაციონალურ მოძრაობას", ეს საბოლოოდ გაშიფრულია.

**— ისეთი ფაქტები გაქვთ მოსამართლეებზე, რომლის მიხედვითაც პროკურატურას მოკვლევის დაწყება შეუძლია?**

– რა თქმა უნდა, სწორედ ფაქტები და მტკიცებულებებია, კონკრეტული მოსამართლეების გვარებია, რომლებმაც უკანონო გადაწყვეტილებები მიიღეს.

ორი მიმართულებით ვიმუშავებთ. ჩვენი შტაბი აპირებს პერმანენტული აქციების დაწყებას და მეორე, რა თქმა უნდა, სამართლებრივი კუთხით იქნება აქტივობა, ყველა ის მასალა, რომელსაც მედიაში გავასაჯაროებთ, პროკურატურასაც გადაეცემა.

**— ეს მოსამართლეები ვინ არიან? მაინტერესებს, მათ შორის ის მოსამართლეებიც თუ არიან, ვინც უსამართლო გადაწყვეტილება გამოგვიტანა...**

– ვისზეც მე მაქვს მასალები, ესენი არიან სააპელაციო და საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები, კონკრეტულ გვარებს კი ჟურნალისტურ გამოძიებებში ნახავთ.

**— რომელი საქმეებია?**

– გახმაურებულ საქმეებს ეხება, მაგალითად, ერთს გეტყვით. ეს არის ბაჩო ახალაიას საქმე, როდესაც მოსამართლე დავით მგელიაშვილმა გაამართლა ბაჩო ახალაია „რეინჯერების" საქმეზე. სამწუხაროდ, ეხლა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ შემიძლია დეტალებზე საუბარი, მაგრამ კონკრეტულად, ამ ფაქტზე ახალაიას მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე, რომელიც უკავშირდებოდა რეინჯერების საქმეს, პროკურატურას ჰქონდა წარდგენილი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები. მე გავეცანი პირადად ამ საქმეს და ბაჩო ახალაია დიახაც რომ იყო „რეინჯერების" საქმეში დამნაშავე. ამას ადასტურებს მტკიცებულებები, მაგრამ მოსამართლე მგელიაშვილმა ის გაამართლა. ასეთი ძალიან ბევრია და უახლოეს მომავალში ყველაფერს ნახავს საზოგადოება. აი, მერე ვნახოთ, როგორ არ გააქტიურდება პროკურატურა და როგორ არ მოსთხოვს პასუხს იმ მოსამართლეებს, რომლებმაც უკანონო გადაწყვეტილებები მიიღეს.




**„მოსამართლეებმა თუ არ იგრძნეს წნეხი და საზოგადოების აქტიურობა, რომ მათ გამადიდებელი შუშით ვაკვირდებით, ისინი გააგრძელებენ დაკვეთის შესრულებას"**

»» შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ხრამი-1 KHRAMI-1

**სს „ხრამჰესი 1" აცხადებს №X1-2014/07 წინადადებების ღია გამოკითხვას ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების შემუშავებასა და დანერგვაზე ISO 14001:2004 სტანდარტის თანახმად.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1''-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 ივლისი 15 საათი.*

ხრამი-2 KHRAMI-2

**სს „ხრამჰესი 2" აცხადებს №X2-2014/07 წინადადებების ღია გამოკითხვას ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების შემუშავებასა და დანერგვაზე ISO 14001:2004 სტანდარტის თანახმად.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2''-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 ივლისი 15 საათი.*

ხრამი-2 KHRAMI-2

**სს „ხრამჰესი 2" განმეორებით აცხადებს №X2-2014/05 ფასთა ღია გამოკითხვას საპოხი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2''-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 24 ივლისი 15 საათი.*



# რა ცვლილებებს მოჰყვება მინისტრთა ცვლილებები?

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, **გია ჟორჟოლიანმა** განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს ის პოლიტიკა, რომელსაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ახორციელებს.

„თუ ამ დრომდე თვითმმართველობის სფეროში პასუხისმგებლობა არ ჰქონდა დაკისრებული „ქართულ ოცნებას“, დღეს ყველაფერი საპირისპიროდაა. სრულიად საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „ქართულ ოცნებას“, რამაც კიდევ უფრო მკაფიო უნდა გახადოს ჩვენი პოლიტიკა. პირველი ნაბიჯები გადადგმულია, ზოგიერთ სფეროში კიდევ უფრო რადიკალური ცვლილებებია გასატარებელი, რასაც შესაძლოა, საკადრო ცვლილებები მოჰყვეს“, – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

რას ნიშნავს, ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა გამოხატოს ის პოლიტიკა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ახორციელებს, მკაფიობა რაში უნდა გამოჩნდეს? ან რა იგულისხმება „კიდევ უფრო რადიკალურ ცვლილებებში“?

**„ალიას“ გია ჟორჟოლიანი ესაუბრა:**

– ვიგულისხმე, რომ აქამდე ეს პასუხისმგებლობა თვითმმართველობებში არ იყო, ანუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არ ახორციელებდნენ, იმიტომ რომ უმრავლესობას საკრებულოებში არ წარმოადგენდნენ. „მკაფიოდ უნდა გამოხატოს ის პოლიტიკა“ ნიშნავს იმას, რომ რა მიმართულებებით მიდის-მეთქი. მაგალითად, ვგულისხმობ განათლების პოლიტიკას, ვგულისხმობ ინდუსტრიის პოლიტიკას, თუ როგორი უნდა იყოს.

**— რა ინდუსტრიის პოლიტიკა? სად გვაქვს ინდუსტრია?**

– რა უნდა გააკეთოს ამ მხრივ მთავრობამ, ეს უნდა იყოს კიდევ უფრო მკაფიო, ვიდრე დღეს არის-მეთქი, ამას ვგულისხმობ. ინდუსტრია როგორ არ არსებობს, ძალიან შეზღუდული, სამწუხაროდ, მაგრამ არსებობს. მაგალითად, რუსთავია, ჭიათურაა. ვგულისხმობ იმ პოლიტიკას, რომ ესენი გააძლიეროს, საწარმოები შეიქმნას და ასე შემდეგ. რაღაც ნაბიჯები ამ მიმართულებით იდგმება, მაგრამ ჩემი გამონათქვამი იმას ნიშნავს, რომ უფრო მიზანმიმართული უნდა იყოს, ვიდრე არის-მეთქი, რაა. ეს პირველი ნაბიჯებია და დავიწყოთ ამ მიმართულებით გააქტიურება-მეთქი.

**— და კიდევ უფრო რადიკალურ ცვლილებებში რა იგულისხმება, რა, ცვლილებები უკვე არსებობს?**

– მაგალითად, უმაღლესი განათლებისა და კვლევების სფეროში, მოკლედ ამის შესახებ ვერ გეტყვით.

**— მე არ მითქვამს, რომ მოკლედ ვისაუბროთ.**

– არა, ამას მე ვამბობ, იმიტომ, რომ რაღაც კანონპროექტზე ვმუშაობთ.

**— საზოგადოებას აინტერესებს, რა სფეროში გვაქვს გადადგმული ნაბიჯები, განათლებაში რაც ხდება, ვიცით, იქ უამრავი პრობლემაა, ეკონომიკაში? მაშინ ამ გადადგმულ ნაბიჯებს რატომ ვერ ვგრძნობთ ჩვენს ტყავზე?**

– აა, თქვენ თუ მეკამათებით, მაშინ მკითხეთ და გეტყვით: ეს ნაბიჯია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც განხორციელდა 2013 წელს და მნიშვნელოვნად ხორციელდება წელსაც. ამ ნაბიჯებს თქვენ თუ ვერ გრძნობთ, ჰკითხეთ გლეხებს და გეტყვიან.

**— ვეკითხები და ეს ის პოლიტიკაა, რაც გლეხების უკმაყოფილებას იწვევს. კი უხნავენ მიწებს, მაგრამ მათ არ აქვთ თანხა, რომ დათესონ და მოიყვანონ მოსავალი. თქვენც ჰკითხეთ და გეტყვიან, ეს რანაირი სოფლის მხარდაჭერააო...**

– თქვენ სხვა რამეზე მელაპარაკებით, მე – სხვა რამეზე. ძნელია ეგრე საუბარი. მე გეტყვით, რამდენი ფული დაიხარჯა ამ მიმართულებით და ვიტყვი, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი და არაა საკმარისი და თქვენ მედავებით.

**— მე არ გედავებით, გეკითხებით. დახარჯული ფული არ ნიშნავს საქმის გაკეთებას.**

– აბა, გლეხებს ფული არ აქვთო და მეც ვამბობ, რომ ეს ნაბიჯი არ არის საკმარისი. ჯანდაცვის სფეროში არის გადადგმული პირველი ნაბიჯები და ეს სერიოზული ნაბიჯებია, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც არ ყოფილა განხორციელებული, მაგალითად, ამერიკაში, მაგრამ ეს ნამდვილად არაა საკმარისი, თუმცა, ეს ნაბიჯები რადიკალურია წინა პერიოდთან შედარებით. მე შემიძლია, თქვენ ვრცელი პროგრამა წარმოგიდგინოთ და ამოცანები დაგისახოთ, რა ამოცანები დგას უმაღლესი განათლებისა და კვლევების სფეროში საქართველოში, საამისოდ პუბლიკაციები მაქვს, ეს პირველად დღეს კი არ ვთქვი. გარღვევა უნდა განხორციელდეს, ჩვენი ეკონომიკა უნდა დაეფუძნოს ცოდნას, უმაღლესი განათლება და კვლევები ძალიან მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ქვეყნის ეკონომიკას, უნდა იყოს ისეთი ეკონომიკა, რომელიც მოითხოვს ამ ცოდნას და უნდა იყოს ისეთი ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტული და ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას. ეს ძალიან რთული საქმეა, მაგრამ აუცილებელია ჩვენი განვითარებისთვის.

**— თქვენ ბრძანეთ, შესაძლებელია საკადრო ცვლილებები მოხდესო.**

– მე ვთქვი, რომ პოლიტიკაა შესაცვლელი და შესაძლებელია, ამას საკადრო ცვლილებები მოჰყვეს და შეიძლება, არც მოჰყვეს, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ანუ, მთავარია „პოლიტიკები“ შეიცვალოს, მაგრამ თუ კადრები შეიცვლება და პოლიტიკაში სიახლე არ იქნება, მაშინ რა აზრი აქვს რამეს. უნდა გაგრძელდეს რეფორმისტული ნაბიჯები ამ სფეროების განვითარებისთვის, აი, თუ ამას დასჭირდება საკადრო ცვლილებები, მაშინ უნდა მოხდეს იმ დონეზე, რა დონეზეც დასჭირდება საქმეს.

**— მაგრამ თუ მაინცდამაინც დასჭირდა, შესაძლებელი იქნება მინისტრების ცვლილება?**

– შეიძლება რომელიმე მინისტრმა წარმოადგინოს რაიმე პროგრამა, ჩვენი ცხოვრების რაიმე სფეროში და, თუ ამ საქმეს ახალი კადრი დასჭირდება, შესაძლოა, მოხდეს ცვლილება. ასევე, შეიძლება მთავრობამ წარმოადგინოს რაიმე პროგრამა, რასაც დასჭირდება სხვა კადრი, ამ შემთხვევაშიც მოხდება ცვლილება, აი, ამას ვგულისხმობდი.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჩემი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე“



„ჩემი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე“, – ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის სტატიას ედუარდ შევარდნაძეზე.

„კარგად მახსოვს, დრო და ადგილი, როდესაც უკვე ვიცოდი, რომ ცივი ომი დასრულდა. ეს იყო 1990 წლის 3 აგვისტოს, მოსკოვის გარეთ, ვნუკოვოს აეროპორტში. ისტორია რომ იქმნებოდა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გვერდით ვიდექი, როდესაც ჩვენ ერთად გამოვაცხადეთ, რომ ჩვენი ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ ერაყის შეჭრას ქუვეითში და მოვუწოდეთ ერაყისთვის იარაღის ემბარგოსკენ, რომელიც იმხანად საბჭოთა კავშირისგან იძენდა იარაღს. ედუარდ შევარდნაძე ჩემი კოლეგა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის მოწინააღმდეგე იყო, სანდო, დიპლომატიური პარტნიორიც იყო. დროთა განმავლობაში ის ჩემი ახლო მეგობარი გახდა. მე მომწონდა და ვაღმერთებდი ამ ადამიანს“, – წერს ბეიკერი.

როგორც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი აღნიშნავს, სწამს, რომ ისტორია სწორად შეაფასებს შევარდნაძეს.

„ედუარდ შევარდნაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის რეფორმების პოლიტიკის ერთგული მხარდამჭერი იყო, მთელი არსით იბრძოდა ძლიერი შიდა ძალების წინააღმდეგ, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ სამშობლოში დაუნდობელი რეპრესიებითა და მუდმივი ცივი ომით საზღვარგარეთ. ერთ მომენტში, ის გადადგა კიდეც და განაცხადა, რომ „დიქტატურა მყარდებოდა“. შევარდნაძე იყო მტკიცე, შეუპოვარი და უპირველეს ყოვლისა, ის იყო მამაცი. შევარდნაძის პოლიტიკური სიმამაცე მაშინ წარმოჩინდა მსოფლიოსთვის, როდესაც მათ ერთობლივი განცხადება გააკეთეს ერაყის თაობაზე. მისივე თქმით, ვიდრე ერთობლივ განცხადებას გააკეთებდნენ, დაღლილმა შევარდნაძემ მას პირადად უთხრა, რომ ხისტი პოლიტიკის მხარდამჭერებმა მის ქვეყანაში გააფრთხილეს, რომ „ხელები სისხლში ექნებოდა გასვრილი“, თუ ამ პოზიციას მიიღებდა. „მაგრამ შევარდნაძე მზად იყო, წინ აღდგომოდა მათ. ეს აგრესია არ შეესაბამება ახალი პოლიტიკური აზროვნების პრინციპებს“, – განაცხადა მან აეროპორტში“, – წერს ჯეიმს ბეიკერი. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტი ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას 18 ივლისს გეგმავს



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით:

„საქართველოს პარლამენტი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას გეგმავს 18 ივლისს, პარასკევს, ამისთვის ჩვენ მოვიწვევთ საგანგებო სესიას, თავად სარატიფიკაციო ტექსტი, მაქსიმუმ 10 ივლისს უკვე პარლამენტს გაეგზავნოს მთავრობის მხრიდან. საქართველოს პრეზიდენტს მივმართავ, ამ დღეებში მოიწვიოს საგანგებო სესია, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „გილოცავთ, პატრიარქმა საქართველოს მიწა შეუნარჩუნა“



არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ხელისუფლებამ პატრიარქის თხოვნა გაითვალისწინა და პარლამენტის უახლოეს სხდომაზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევა. უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ქართული მიწის შეძენას მოისურვებს, მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევს.

„პატრიარქის ერთი კვირის წინანდელმა მიმართვამ ხელისუფლებისადმი, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების პროცესთან დაკავშირებით ხელისუფლების სწრაფად მიღო ზომები და ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად შეემუშავებინა სათანადო რეგულაციები, შედეგი გამოიღო. პატრიარქის განცხადებიდან რამდენიმე საათში, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საპრივატიზაციოდ გამოტანილი 172 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ახალი კონტროლის მექანიზმების შექმნამდე შეაჩერა.

რამდენიმე დღის წინ იუსტიციის სამინისტროში განიხილეს მიწის გასხვისების საკითხი. სხდომას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი, სხვადასხვა მინისტრის მოადგილეები, პარლამენტის დეპუტატები და ამ დარგის სპეციალისტები. პროფესორ პაატა კოღუაშვილის და მისი მეგობრების მიერ ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული რეკომენდაციები უმრავლესობამ გაითვალისწინა. კომისიაზე გადაწყდა, რომ აუცილებელია რეგულაციების შემოღება. უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც მოისურვებს ქართული მიწის შეძენას, მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევს. ამ საკითხზე კომისია რამდენიმე დღე იმუშავებს და შემუშავებულ რეგულაციებს თეა წულუკიანი მთავრობის უახლოეს სხდომაზე წარადგენს. პარლამენტის უახლოეს სხდომაზე კი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევა.

გილოცავთ! პატრიარქმა საქართველოს მიწა შეუნარჩუნა!“ – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

ამ შეხვედრაზე ბიზნესმენებს ისიც უთქვამთ, რომ ბიზნესს არ აქტიურებდნენ და მოლოდინის რეჟიმში მუშაობდნენ, ელოდებოდნენ ქვეყანაში პროცესების განვითარებას და ამით გვარიანადაც იზარალეს და რაც მთავარია, მათი მხრიდან ეს იყო საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეს რომ გააკეთეს, ნანობენ კიდეც, რადგან დღევანდელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება არ სურთ, ამიტომ ახლა, ბიზნესაქტივობას გააგრძელებენ და იმავე რეჟიმში იმუშავებენ, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მუშაობდნენ.

მოკლედ, ეკონომიკის იმ



ამ შეხვედრის ინიციატორები ბიზნესმენები ყოფილან, ეს ფარული თავყრილობა წყნეთში, ერთ-ერთი ბიზნესმენის აგარაკზე შედგა და მას, დაახლოებით, ოცი მსხვილი ბიზნესმენი ესწრებოდა. მათი ვინაობის დაზუსტება, წყარომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა. „ნაცმოძრაობას“ კი გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და გია ბარამიძე წარმოადგენდნენო

# გასაიდუმლოებული შეხვედრა წყნეთში

## რა მოხდა ნაციონალების ლიდერების და მათი მოკავშირე ბიზნესმენების შეხვედრაზე?

„ალიას“ სანდო და კარგად ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული ბიზნესმენებისა და ამ პარტიის ლიდერთა ფარული შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრის ინიციატორები ბიზნესმენები ყოფილან, ეს ფარული თავყრილობა წყნეთში, ერთ-ერთი ბიზნესმენის აგარაკზე შედგა და მას, დაახლოებით, ოცი მსხვილი ბიზნესმენი ესწრებოდა. მათი ვინაობის დაზუსტება, წყარომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა. „ნაცმოძრაობას“ კი გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და გია ბარამიძე წარმოადგენდნენო.

წყარო აცხადებს, რომ ბიზნესმენებმა მკაფიოდ და კატეგორიულად დაუფიქსირეს „ნაცების“ ლიდერებს, რომ ისინი მათი პარტიის დაფინანსებას აღარ აპირებდნენ. ეს ხალხი წლების მანძილზე აფინანსებდა „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანიებს, სხვა სახის აქტივობებს, ინახავდა „ნაცმოძრაობის“ კუთვნილ მედიასაშუალებებს, პარტიის კონკრეტული ლიდერებისა და მათი ოჯახების წევრების საზღვარგარეთულ ვოიაჟებს, უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის ქირას უხდიდა პარტიის ლიდერთა შვილებსა და ახლო ნათესავებს... ბიზნესმენებს უთქვამთ „ნაციონალებისთვის“, რომ ამიერიდან მათგან ერთ თეთრსაც ველარ მიიღებდნენ. ეს ბიზნესმენები სარგებლობდნენ პრივილეგიებით, იგებდნენ სახელმწიფო ტენდერებსა და აუქციონებს, შეღავათიან და სიმბოლურ ფასად ყიდულობდნენ სახელმწიფო ქონებას. მოკლედ, „მწვანე შუქი“ ჰქონდათ ანთებული. გივი თარგამაძეს სწორედ ეს შეუხსენებია მათთვის და დაუმუნათებია, – ჯერ კიდევ ვალში ხართ ჩვენთანო. ბიზნესმენებს უკან არ დაუხევიათ და რაც ზემოთ ჩამოვთვალე, „ნაციონალებისთვის“ გაკეთებული ათი იმდენი სანაცვლო სიკეთე კიდევ შეუხსენებიათ. უთქვამთ, რომ ათეულობით მილიონი აქვთ დახარჯული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თბილისშიც და რეგიონებშიც, სპეცფონდებში... მოკლედ, ბიზნესმენებს უთქვამთ, რომ, თუ რამე სიკეთე მიიღეს „ნაციონალთა“ ხელშეწყობითა და მფარველობით, ყველაფერი გადაიხადეს და ახლა, სააკაშვილის პარტიის გარეშე აპირებენ საქმიანობის გაგრძელებას.

ბიზნესმენების ერთ ნაწილს უშუალოდ გივი თარგამაძისთვის უთქვამს, რომ ოფშორში დარეგისტრირებული კონკრეტული ქართული ბიზნესკომპანიების ანგარიშებზე „ნაცლიდერების“ კუთვნილი თანხები ინახება და ეს ფული დროულად გადაიტანეთ სხვა ანგარიშებზე, თორემ ავდგებით და ჩვენ მოვიხმართო. შეიძლება ეს არის ბიუჯეტიდან მოპარული მილიონები, რომლებიც ამ ბიზნესმენთა დახმარებით გაათეთრეს და მათ მიაბარეს ოფშორულ ანგარიშებზე შესანახად. მოკლედ, „ნაციონალები“ მაგარ შარში არიან, სავარაუდოდ, გაუჭირდებათ საქართველოში ისეთი კომპანიების მოძებნა, ვინც ამ ფულს ისევ ოფშორში შეუნახავს. გაუჭირდებათ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ პროკურატურასთან ითანამშრომლა და ჯერ გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი დააჭერინა, მერე კი თავად უგულავას ციხეში გასტუმრებაშიც დაიდო წილი, აღარავის ენდობიან. ბიზნესმენებს ბოკერიას, თარგამაძისა და ბარამიძისთვის ასევე უთქვამთ, რომ კონკრეტულ „ნაციონალთა“ ოჯახის წევრებსა და მათ „ნათესავებს“ მათსავე კომპანიებში რომ აქვთ წილები ხელშეუხებლობის სანაცვლოდ და სოლიდურ დივიდენდებსაც იღებდნენ, ყველა ასეთმა ადამიანმა თუ უარი არ განაცხადა საკუთარ წილზე, მაშინ ისინი გიორგი კაპანაძის გზას დაადგებიან და სამართალდამცავებთან ითანამშრომლებენ. რამდენიმე ბიზნესმენს ისიც უთქვამს, გიორგი კაპანაძის ჩანაწერები არაფერია ამასთან შედარებით, რაც მათ აქვთ არქივში.

„ნაციონალები“ მაგარ შარში არიან, სავარაუდოდ, გაუჭირდებათ საქართველოში ისეთი კომპანიების მოძებნა, ვინც ამ ფულს ისევ ოფშორში შეუნახავს. გაუჭირდებათ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ პროკურატურასთან ითანამშრომლა და ჯერ გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი დააჭერინა, მერე კი თავად უგულავას ციხეში გასტუმრებაშიც დაიდო წილი, აღარავის ენდობიან“

გაგრძელება
მეთორმეტე გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ნარმანია მერიიდან თანამშრომლების განთავისუფლებას აპირებს



დავით ნარმანიამ დებატებისას განაცხადა:

„არ გამოვრიცხავ, რომ ცალკეული სტრუქტურული ერთეულების შეკვეცა მოგვიწიოს. ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება, რომ ამ სტრუქტურული ოპტიმიზაციის შედეგად არ დაზარალდნენ კვალიფიციური კადრები. ჩვენ შევინარჩუნებთ ყველა კვალიფიციურ კადრს. მაგრამ არსებობს სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭო, სადაც დასაქმებულები არიან „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები. თვეები ისე გადის, რომ ეს ადამიანები არაფერს აკეთებენ. ძალიან ბევრი ყოფილი მაღალჩინოსანი მძღოლად, დამლაგებლად არის გაფორმებული და ათასობით ლარს იღებს შრომის ანაზღაურების სახით. ცალკეული თანამდებობის პირები ერთის ნაცვლად ორ ადგილზე არიან გაფორმებულნი. ასეთი ადამიანების გაშვების შემდეგ მათ ადგილზე შევარჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც არიან გარეთ და არიან კვალიფიცირებულები“, – განაცხადა ნარმანიამ.

მისი თქმით, ის „სითი პარკსაც“ მიხედავს: „ჩვენ ამ კომპანიას პასუხს ძალიან სერიოზულად მოვთხოვთ. ასევე, სერიოზულ პასუხს მოვთხოვთ იმ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებლები. ამ შემთხვევაში ჩვენ ხელშეკრულებას აუცილებლად გადავხედავთ და რა თქმა უნდა, მათ მოეთხოვებათ ის, რომ დამატებითი პარკირების ადგილები ააშენონ თავიანთი ფული, როგორც მიწისქვეშა, ასევე მრავალსართულიანი მიწისზედა ავტოსადგომები“, – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

### „ჰამასი“ ისრაელს ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ ორ პირობას უყენებს

მოძრაობა „ჰამასი“, რომელიც ღაზას სექტორს აკონტროლებს, მათი მხრიდან ცეცხლის შეწყვეტისთვის ისრაელს ორ პირობას უყენებს.

მოძრაობის ლიდერმა ჰალედ მაშაალმა ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ ბენიამინ ნეთანიაჰუმ პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ ღაზაში ომი უნდა შეწყვიტოს, ასევე შეცვალოს დაკავებული პირების საწინააღმდეგო პოლიტიკა.

„ახლა აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს დასავლელ და არაბ შუამავლებს შორის ცეცხლის შეწყვეტის მიზნით. ჩვენგან მოითხოვენ, გავჩერდეთ დაზავების სანაცვლოდ, რაზეც ვპასუხობთ: უნდა მოახდინოთ ნეთანიაჰუზე ზეწოლა და აიძულოთ ისრაელის პრემიერი, შეწყვიტოს აგრესია“, – აცხადებს მაშაალი.

გავრცელებული ინფორმაციით, 9 ივლისს ისრაელის სამხედრო ოპერაციის შედეგად ღაზას სექტორში 43 ადამიანი დაიღუპა, 300-ზე მეტი კი დაიჭრა. ისრაელის საპასუხოდ პალესტინელმა რადიკალებმა ისრაელის ტერიტორიაზე 230 რაკეტა გაუშვეს, რომელთაგან 40 ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ მოიგერია. (ინტერპრესნიუსი)

### თბილისი-მოსკოვის რეისები 15 სექტემბრიდან აღდგება



ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია მიქელაძის განცხადებით, რეგულარული საავიაციო რეისები, რომელიც 2006 წლიდან რუსეთის მხრიდან ცალმხრივად იყო შეწყვეტილი, აღდგება:

„რუსეთის ფედერაციის მხრიდან, შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს მეშვეობით და ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, მივიღეთ ოფიციალური ნოტა, რომ რუსეთის შემოთავაზებაა, აღდგეს ორ ქვეყანას შორის რეგულარული საავიაციო მიმოსვლა. ნოტაში მოცემულია, რომ თავდაპირველად რეისები აღდგება თბილისი-მოსკოვი და მოსკოვი-თბილისის მიმართულებით. შეუზღუდავად იქნება სიხშირეები მოცემული. პირობა არის დათქმული, რომ 15 სექტემბრიდან მოხდეს ამის განხორციელება, რადგან წინამოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი ორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ. პირველ სექტემბრამდე, როგორც ჩვენ უნდა მივაწოდოთ რუსეთის მხარეს, ასევე რუსეთის საავიაციო ხელისუფლება მოგვაწვდის იმ კომპანიების კონკრეტულ ჩამონათვალს, რომლებიც 15 სექტემბრიდან რეგულარულ რეისებს განახორციელებენ“, – განაცხადა მიქელაძემ. (ინტერპრესნიუსი)

### თბილისში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა თბილისში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს. მდინარე მტკვარზე მოქალაქეებს ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით სხვადასხვა სახეობის თევზი, კერძოდ ნაფოტა, ხრამული, ჭანარი და მურწა ჰყავდათ მოპოვებული. სამართალდამრღვევებს ნავი, თვითნაკეთი ელექტროშოკური აპარატი, ჩოგანბადე და უკანონოდ მოპოვებული 60 კგ თევზი ჩამოერთვათ.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, შესაბამისად, მასალები გადაეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს. (ინტერპრესნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ექსპერტების ვარაუდი მართლდება, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ბიზნესაქტივობის შეფერხების მიზეზები სუბიექტური იყო, „ნაციონალთა" კონტროლირებადი ბიზნესმენები მათ დაკვეთას ასრულებდნენ და ახალი პროექტების რეალიზაციას არ ახდენდნენ, მეორე ნაწილი კი მოლოდინის რეჟიმში იყო და პოლიტიკური პროცესების განვითარებას აკვირდებოდა.

შეხვედრის ბოლოს გამწვავებულა სიტუაცია, რადგან გივი თარგამაძეს სულ მოღალატეები და ორგულები უძახია ამ ხალხისთვის, თუმცა ბიზნესმენებს თარგამაძე მალევე გაუნეიტრალებიათ. მისთვის უთქვამთ, მოღალატეები თქვენს პოლიტიკურ გუნდში მოიკითხეთ, ორგულები ისინი არიან, საპარლამენტო არჩევნები როცა წააგეთ, მეორე დღესვე რომ გიგანეს და „ქართულ ოცნებაში" გადაბარგდნენ, ჩვენ კი იმ არჩევნებიდან წელიწადისა და 8 თვის შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც კი დაგიფინანსეთ, მეტი რაღა ერთგულება გინდათო? იქვე ისიც უთქვამთ, ამ არჩევნების დაფინანსება ბოლო იყო, ჩვენგან ერთ თეთრსაც ნუ მოელით, თქვენი ყველა ვალი გავისტუმრეთ. ხალხს ისე მოაძულეთ თავი, რომ თქვენი ხსენება აღარ უნდა, არჩევნებიც ამის გამო წააგეთ, ეს კი თქვენი ბრალია და არა ჩვენიო.

**„ალია" ბიზნესმენებისა და „ნაციონალთა" ლიდერების შეხვედრის და იქ განვითარებული მოვლენების შესახებ, ეკონომიკის ექსპერტს, ДЕМУР ГИОРХЕЛИДЗЕ ესაუბრა:**

**— ბატონო დემურ, „ალიას" ინფორმაციით. ბიზნესმენთა ერთი ნაწილი „ნაცმოძრაობის" ლიდერებს ფარულად შეხვდა და ბიზნესმენებმა განაცხადეს, რომ ამ პარტიას აღარ დააფინანსებდნენ, მათთან ვალში აღარ არიან და „ნაცმოძრაობასთან" ყოველგვარ კავშირს წყვეტენ.**



**„მე მესმის ამ ხალხის, ეს ნაბიჯი ძნელი გადასადგმელია, მაგრამ თუ ეს გააკეთეს, ეს გაბედეს, ძალიან კარგია. ველოდი, რომ ეს პროცესი დაიწყებოდა და ძალიან კარგია, რომ უკვე დაწყებულა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან ვსაუბრობდი, როცა ეკონომიკური ტემპები შენელდა"**

– ჯერ არ მსმენია, მაგრამ ეს საჯაროდ თუ გაკეთდება, კარგი იქნებოდა, რადგან ამით შეიძლება დაიწყოს ის ჯანსაღი პროცესი, როდესაც ბიზნესმენები დაცულნი უნდა იყვნენ ყველა ხელისუფლებისგან. ეს ხალხი ისედაც დაზარალებულია, ბიზნესი დამონებული იყო და ამიტომ, ძალიან კარგია, ეს ნაბიჯი რომ გადაუდგამთ. მე მესმის ამ ხალხის, ეს ნაბიჯი ძნელი გადასადგმელია, მაგრამ თუ ეს გააკეთეს, ეს გაბედეს, ძალიან კარგია. ველოდი, რომ ეს პროცესი დაიწყებოდა და ძალიან კარგია, რომ უკვე დაწყებულა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან ვსაუბრობდი, როცა ეკონომიკური ტემპები შენელდა. ბიზნესმენები, იმ 7 მილიარდ ლარს, რომელიც მათ წინა წლებში მოგების სახით ნახეს, აღარ აბრუნებდნენ ბიზნესში და ახალ პროექტებს აღარ აფინანსებენ. სწორედ „ნაციონალთა" მიერ კონტროლირებადი ბიზნესი იყო შეჩერებული მათი ზეწოლითა თუ სხვა მიზეზებით. ბიზნესმენები ძალიან მგრძნობიარე და შორსმჭვრეტელი ხალხია. ძალიან ბუნებრივია, რომ ბიზნესმა უარი უთხრა „ნაციონალებს" მხარდაჭერაზე. არავის აღარ უნდა ამ დანაშაულებრივ პარტიასთან საქმის დაჭერა და მით უფრო, მათი ავანტიურისტული გეგმების დაფინანსება.

**— თქვენ ხშირად აცხადებდით, რომ ბიზნესი მოლოდინის რეჟიმში დიდხანს ვერ გაჩერდება, აუცილებლად გადაიგდებს უღელს, განთავისუფლდება ძველი ხელისუფლების ვალდებულებებისგან და მალე ისევ გააქტიურდებაო. ფაქტობრივად, ახდა თქვენი პროგნოზი.**

– კი, ბიზნესი დიდხანს ვერ გაჩერდება და რაც არ უნდა ზეწოლა განახორციელო მასზე, ადრე თუ გვიან, განთავისუფლდება და ჩვეულებრივ საქმიან რიტმს დაუბრუნდება. ახლაც ასე მოხდა. ამ ადამიანებმა, ვინც „ნაციონალებს" შემდგომში დაფინანსებაზე უარი უთხრეს, ღირსება შეინარჩუნეს, რადგან მხოლოდ უღირს ადამიანებს შეუძლიათ ის დანაშაულებრივი პოლიტიკა დააფინანსონ, რასაც დღეს „ნაცმოძრაობა" ეწევა. ამიტომ მე მივესალმები იმ ბიზნესმენებს, ვინც მათ მხარდაჭერაზეც უარი უთხრა და მათთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

**— ბატონო დემურ, ამ ბიზნესმენთა ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილება, გარკვეულწილად ბიზნესმენ გიორგი კაპანაძის საქციელით ყოფილა პროვოცირებული. კაპანაძე არათუ გაემიჯნა „ნაციონალებს", „შავი ფულის" გათეთრებაშიც ამხილა ისინი და გიგი უგულავას დაჭერაშიც დაეხმარა სამართალდამცავებს. შესაძლოა, მართლა ეს ფაქტორი ყოფილიყო კატალიზატორი ამ ბიზნესმენთათვის?**



**შეხვედრის ბოლოს გამწვავებულა სიტუაცია, რადგან გივი თარგამაძეს სულ მოღალატეები და ორგულები უძახია ამ ხალხისთვის, თუმცა ბიზნესმენებს თარგამაძე მალევე გაუნეიტრალებიათ...**

– გიორგი კაპანაძის მდგომარეობა ძალზე მძიმეა, ამ ბიზნესმენს ჰქონდა შესაძლებლობები, მაგრამ „ნაციონალებმა" უმძიმეს დღეში ჩააგდეს. თავისთავად ტრაგედიაა, როცა ბიზნესმენი გამოდის ტელეეთერით, პრესით და ასეთ თემებზე უწევს საუბარი, მისი სხვა საქციელიც არ იყო იოლი გზა, მაგრამ სხვა გზა აღარ დაუტოვეს, მეტი ველარ მოითმინა ამ ადამიანმა. კაპანაძისა არ იყოს, თუ ყველაფერი არ ვაღიარეთ, არ ვთქვით ყველაფერი, ამ სისაძაგლიდან ვერ გამოვალთ. ჯერ ისევ იმ ჭაობში ვართ ჩაფლულნი. ნამდვილად შესაძლებელია, რომ კაპანაძის ეს საქციელი ამ ბიზნესმენთათვის სწორედ მაპროვოცირებელი ფაქტორი აღმოჩნდა და მათი ეს გადაწყვეტილება, გაეწყვიტათ კავშირი „ნაცმოძრაობასთან", დააჩქარა.

მე მივესალმები ამ ბიზნესმენთა ასეთ რადიკალურ საქციელს. უნდა დასრულდეს ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ, რომ, როცა ახალი ხელისუფლება მოვა, მიასკდება ამ ფინანსურ ნაკადებს და პირველს, რასაც აკეთებს, ბიზნესს იმონებს და ინაწილებს. ერთი რამ არის ნიშანდობლივი. ეს ნაბიჯი ამ ბიზნესმენებმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ნაცმოძრაობის" მარცხისთანავე არ გადადგეს, არც შემდეგ. წელიწადისა და რვა თვის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ მათი დაფინანსება შეეწყვიტათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესმა საბოლოოდ დაინახა, რომ „ნაცმოძრაობა" პოლიტიკურად გაკოტრებულია და არანაირი შანსი ხელისუფლებაში დაბრუნებისა, აღარ დარჩა. მათგან საბოლოო განდგომით სწორედ ეს დაუფიქსირეს, ეს ხალხი მიხვდა, რომ ამ პარტიის დაფინანსების გაგრძელება დანაშაულია საკუთარი ქვეყნისა და მომავლის, მათივე შვილების წინაშე და ამაზე არ წავიდნენ. ვინც ამაზე წავა, ის სიცოცხლის ღირსიც არ არის. ამ ბიზნესმენებმა, უპირველესად, საკუთარი ოჯახების, შვილების სასარგებლოდ გააკეთეს ასეთი მართებული არჩევანი და საზოგადოებამ სწორად უნდა შეაფასოს მათი ეს საქციელი. ნამდვილად ღირსეულია მათი გადაწყვეტილება და თუ სხვებიც მიბაძავენ, ძალიან კარგი იქნება.

**ლევან ღვინიაშვილი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა მოხდა ნარმანია-მელიას დებატების შემდეგ



თბილისის მერობის კანდიდატებს შორის გამართული დებატების შემდეგ ნიკა მელიამ და დავით ნარმანიამ შესრულებულ-შეუსრულებელი დაპირებების სია გაცვალეს. ნარმანიამ მელიას წინა და ახალი ხელისუფლების საქმიანობის შედარების ამსახველი ბუკლეტი, ხოლო მელიამ ნარმანიას შეუსრულებელი დაპირებების სია გადასცა.

„შენ მართლა გგონია, რომ ის ხმები მართლა დათო ნარმანიამ მიიღო?", – მიმართა მელიამ ნარმანიას.

„ნაწილი მიიღო დათო ნარმანიამ, ნაწილი – იმ გუნდმა, რომელსაც მე წარმოვადგენ", – უპასუხა ნარმანიამ მელიას.

დებატების შემდგომი კამათის შემდეგ კანდიდატებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და „არჩევნების შემდეგ შეხვედრის" იმედით დაშორდნენ. (ნიუპოსტი)

## ქეთი მელუა ფინანსურ სკანდალში გაეხვია



ბრიტანეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერალი გადასახადების თავის არიდებასა და ფინანსურ სკანდალშია გახვეული. სკანდალის შესახებ თითქმის ყველა ბრიტანული გამოცემა წერს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ქეთი მელუა 1,2 მილიარდი ევროს მოცულობის გადასახადების დამალვის სქემაში იყო ჩართული. საუბარი შეეხება საგადასახადო სტრატეგია „liberty"-ს, რომელსაც 1,6 ათას ადამიანზე მეტი ინვესტორი ჰყავს. მედიის მონაცემებით, ქეთი მელუასთან ერთად სქემაში ჩართულები იყვნენ მომღერალი ჯორჯ მაიკლი, მსახიობი მაკლ ქეინი და კიდევ რამდენიმე მუსიკოსი. მათთან ერთად გადასახადებს თავს არიდებდნენ სხვა ცნობილი ადამიანები – სამეფო ოჯახის ადვოკატები, ექიმები, ბიზნესმენები. საქმეზე დაწყებულია გამოძიება და როგორც ბრიტანული გამოცემები წერენ, ხელისუფლება გეგმავს, „liberty"-ს სტრატეგია სასამართლოში გაასაჩივროს, მის წევრებს კი ასობით მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევთ. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინა იარაღის წარმოებას ზრდის

უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს განცხადებით, სამხედრო მოსამსახურეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უკრაინა საკუთარი იარაღის წარმოებას გაზრდის. მისი თქმით, იარაღის საწარმოებლად გამოიყენება გამოცდილება, რომელიც უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა და ნაციონალურმა გვარდიამ აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებისას მიიღეს.

მისივე თქმით, იარაღის წარმოების მოცულობის გაზრდა სამეცნიერო პროგრამების დაფინანსების შემცირების ხარჯზე მოხდება. (ინტერპრესნიუსი)

## „მოვითხოვ წინა ხელისუფლების სათავეში მყოფი ყველა დამნაშავის დასჯას"



მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა, ჯამბულ გამცემლიძე სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე საუბრობს და კიდევ ერთხელ მოითხოვს სამართალდამცავებისგან დამნაშავეების დასჯას.

„პირველ რიგში მინდა, რომ დაისაჯოს ყველა ის ნაძირალა, ვინც წინა ხელისუფლების სახელმწიფო სათავეში იყო, რადგან მათ დროს ძალიან ბევრი ოჯახი იქნა დაზარალებული. მათი დასჯით ჩემს შვილს კი ვერ გავაცოცხლებ, მაგრამ ჩემს შვილიშვილებს სამართლებრივ ქვეყანაში დავტოვებ, ისინი მაინც იქნებიან დაცულები. ყველაფერი გავაკეთე, რათა ეს სატანები მოგვეცილებინა ხელისუფლებიდან, ეხლა ველოდები სამართლის დამკვიდრებას. მხოლოდ ჩემი შვილის საქმის გამოძიება არ კმარა. ჩემ გარდა, ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს ამ ქვეყანაში, რომლებიც დაზარალებულები არიან ამ ნაძირლებისგან, ყველასთვის უნდა აღდგეს სამართალი, ყველა დამნაშავე უნდა დაიჭირონ. ნუ მაცდევინებთ ბევრს, არც ისე დიდი ხნის სიცოცხლე დამრჩა. დრო მიდის, მოვითხოვ სამართალდამცავებმა გამოიძიონ და დასაჯონ ყველა დამნაშავე. მაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ, რატომ არ ჩქარდება მათი დასჯის პროცესი, რა უშლით ხელს?! ამბობენ, ჯერ კაცი კვდება და მერე იმედიო, ნუ მომიკლავთ სიცოცხლეში იმედს და ასე გულმკვდარს ნუ გამიშვებთ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან". – განაცხადა გამცემლიძემ. (რეპორტიორი)

## ეკა ბესელიას „ქერის უბანში“ თავისი როლი მოსწონს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანის“ ეთერში განაცხადა, რომ სერიალ „ქერის უბანში“ თავისი პერსონაჟი ძალიან მოსწონს.

ბესელიამ ეს მაშინ აღნიშნა, როდესაც წამყვანს სთხოვდა ოპონენტები გაეჩუმებინა და მისთვის განკუთვნილი საეთერო დრო გამოეყენებინა.

– გიორგი, იმ სერიალში კი ვარ საინტერესო როლში, ახალი ფილმი რომ არის და ძალიან ვხალისობ ამაზე, მაგრამ არ მაქვს ისეთი ძლიერი ხმა, რომ გადავფარო და ეს ბატონები ერთი წუთი დამინყნარე, – მიმართა ეკა ბესელიამ გადაცემის წამყვანს.

სერიალ „ქერის უბანში“ ეკა ბესელიას პერსონაჟი ხმამაღალი ტემბრით გამოირჩევა.

***newposts.ge***

## სოფო შევარდნაძე: „მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ არც ერთი სიტყვა არ შეესაბამება სიმართლეს“



სოფო შევარდნაძე მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძე ბიძინა ივანიშვილის მიმართ ადრეც და შემდგომაც განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა.

– აღშფოთებული და გაოგნებული ვარ იმ ცრუ ინფორმაციით, რომელიც „გურიანიუსის“ საიტზე გამოქვეყნდა. მთელი კატეგორიულობით ვაცხადებ, რომ არც ერთი სიტყვა არ შეესაბამება სიმართლეს; უფრო მეტიც, არანაირი კონტაქტი არ მქონია ამ სააგენტოსთან საერთოდ. ამაზრზენია, როდესაც, ჩემი ოჯახისთვის უმძიმეს დღეებში, არსებობენ ჟურნალისტები ან მავანნი და მავანნი, რომლებიც სპეკულირებენ ბაბუაჩემის გარდაცვალების თემით. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, არავისთვის საიდუმლო



არ ყოფილა ედუარდ შევარდნაძის დამოკიდებულება ამ პიროვნების მიმართ; ადრეც და შემდგომაც ის განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა და უპირობო მხარდაჭერას უცხადებდა მის საქმიანობას. განსაკუთრებული მადლიერი იყო მისი იმ გადამწყვეტი წვლილისთვის, რაც მას სამების ტაძრის მშენებლობაში მიუძღვის... ვთხოვ ჩემს ყველა კოლეგა ჟურნალისტსა და საიტების რედაქტორებს, ჩემი ოჯახისთვის ამ მძიმე და რთულ დროს, თავი შეიკავონ ცრუ და თვითნებური ინფორმაციის გავრცელებისგან. გთხოვთ, ის ამაზრზენი, ე.წ. ინტერვიუ, რომელიც გავრცელდა ინტერნეტის მეშვეობით, მოხსნათ თქვენი საიტებიდან. წინასწარ გიხდით მადლობას ჟურნალისტური სოლიდარობისთვის, – წერს შევარდნაძე.

თავის მხრივ, „გურიანიუსი“ აცხადებს, რომ მსგავსი მასალა „გურია ნიუსის“ რედაქციაში არ მომზადებულა და ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა.

– ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩვენი სააგენტოს სახელით იქმნება და ფორუმებზე ვრცელდება ცრუ მასალა, მაგრამ კიდევ უფრო საწყენია, როცა ვებ-გვერდები და სააგენტოები მაშინვე, „ოპერატიულად“, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, „იტაცებენ“ „მასალებს“; ზოგიერთი, „ექსკლუზიურობის მიზნით“, მასალას მოდიფიცირებასა და ინტერპრეტირებას უკეთებს და ისე უწყობს ხელს დეზინფორმაციის, ყალბი ინტერვიუების და ახალი ამბების გავრცელებას. დასაფიქრებელია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტერვიუს ფორმა, შინაარსი ერთი შეხედვითაც ადასტურებს მის „წარმომავლობას“, მედიასაშუალებებს ეჭვი არ გასჩენიათ მის ავთენტურობაში და დაუფიქრებლად შეუწყვეს ხელი მის ტირაჟირებას.

სრულიად მიუღებელი და ამორალურია ისიც, რომ ამგვარი ყალბი მასალის შექმნის „საინფორმაციო საბაბი“ ადამიანის გარდაცვალება და ოჯახის მწუხარებაა, – ნათქვამია განცხადებაში.

***pia.ge***

## ეკა ხოფერია იუბილარია – ღმერთო, დიდი მადლობა, რომ დღეს ასეთი ბედნიერი ვარ



ჟურნალისტი ეკა ხოფერია დღეს იუბილარია, მას 38 წელი შეუსრულდა. სოციალურ ქსელში ეკა მეუღლეს მადლობას უხდის.

– ერთი ჩემი მეგობრის და, პატარა და საყვარელი რომ იყო, სარკეში იყურებოდა და ამბობდა: „ღმერთო, დიდი მადლობა, ასეთი ლამაზი რომ გამაჩინეო“, არ ვიცი, რამ გამახსენა, რამ და ჩემმა დაბადების დღემ, ჰოდა:

ღმერთო, დიდი მადლობა, რომ დღეს ასეთი ბედნიერი ვარ!!! ყველა ძალიან მიყვარხართ, ყველას დიდი მადლობა, განსაკუთრებით კი შენ, მიშკა, – წერს ეკა.

***pia.ge***

## მებო ნუცუბიძე შეყვარებულმა ერთი წლით დატოვა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარჩინებულ სტუდენტებს შეხვდა. ღარიბაშვილმა თავისი სტუდენტობა გაიხსენა, როდესაც ერთ-ერთ სასწავლო პროგრამაში გაიმარჯვა და ამერიკაში სწავლის გასაგრძელებლად წასვლა ვერ შეძლო.

– მაშინ მშობლებს რაღაც ხუთი ათასი დოლარი არ ჰქონდათ, რომ სურვილი ამესრულებინა და ამერიკაში მესწავლა, მაგრამ ჩემს ოცნებაზე უარი არ მითქვამს, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერთან შეხვედრაზე მყოფ სტუდენტებს შორის „X ფაქტორის“ მონაწილე მებო ნუცუბიძის შეყვარებულიც იყო. მებომ, რომელმაც გასულ კვირას პროექტი საკუთარი სურვილით დატოვა, „ფეისბუკზე“ შეყვარებულის პრემიერთან შეხვედრისას გადაღებული ფოტო გააზიარა და დაწერა:

– ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მაგარი გოგო მყავს. ერთი წლით მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტში ისწავლის.

მებოს შეყვარებული ქეთი მესხიშვილი იურისტია. თუმცა მუსიკაში კარგად ერკვევა. მებო ინტერვიუში ამბობდა, რომ ყველაფერს, რასაც აკეთებდა, მისთვის და მის გამო აკეთებდა.

***reitingi.ge***

## სოფო ბედიას საქმრომ მანქანა უყიდა – „ასე ვეფერებით ხოლმე ერთმანეთს“...



სოფო ბედიამ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე თავისი ახალი მანქანის ფოტოები გამოაქვეყნა, წარწერით „ჩემი მურანო უკვე ჩემია“. მომღერალი საჭეს უზის და ბედნიერია. საჩუქრის ავტორი სოფოს საქმრო – მიშა მესხი აღმოჩნდა.

– „ნისან მურანო“ მყავს და ძალიან მიხარია. ჩემმა ბიჭმა მიყიდა და მის პატივსაცემად ასეთი სერია და ნომერი ავიღე – „ბუც 111“. ჩვენ ხომ ბუცები ვართ... ასე ვეფერებით ხოლმე ერთმანეთს, ბუცი, ბაცი და ა.შ.

***reitingi.ge***

## „სულ მინდოდა, საქართველოს ნაკრებს ბრაზილიასავით ეთამაშა და არ ამიხდა?!“



ბრაზილია-გერმანიის ნახევარფინალურ შეხვედრას, სადაც პირველივე ტაიმში გერმანელებმა ფინალის საგზურზე დამაჯერებელი პრეტენზია განაცხადეს, დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ფეისბუკის“ ქართველ მომხმარებლებშიც.

გთავაზობთ პირველი ტაიმის ანგარიშთან დაკავშირებულ (0:5) „მარგალიტებს“. შეგახსენებთ, საბოლოოდ მატჩი ანგარიშით 1:7 დასრულდა...

***თამარ მირიანაშვილი:*** „სცენარის მიხედვით, მეორე ტაიმში რჩეულიშვილი შემოდის, ღვინით და შოთით“.

***ირაკლი ჩხვირკია:*** „ფეისბუკზე“ ისეთი სიჩუმეა, გერმანელებსაც კი არ სჯერათ, რო ხუთით ნოლს იგებენ. პ.ს. მგონი. მძინავს და რაღაც დებილობა სიზმარს ვხედავ“.

***იმედა ხატიაშვილი:*** „ნაციონალების“ წინასაარჩევნო ხრიკია 5 გოლი“.

***კობა გოგიძე:*** „ჩემი მეგობარი წერს, – ფახბურთის საყურებლად დავჯექი და გერმანულ პორნოს ვუყურებო!“

***ავი მუსაიფი:*** „ბრაზილია-გერმანიას არ აყურებინოთ მცირეწლოვნებს...+18“.

***დოროთე გითოლენდია:*** „ზატო, ბრაზილიაში სულ ზაფხულია“.

***ზურაბ ჯანიაშვილი:*** „ისე, ფეხბურთის წესებით, დანებება არ მოსულა, ხო?“

***მერაბ მეტრეველი:*** „ახლა ნაღდად მეცოდება ბრაზილიის მთავრობა: აქციები აწი ნახეთ, თქვენ ლოზუნგით: რაში გადაყარეთ მილიარდები! ან: ნახევარფინალი ვჭამოთ?!“

***ირაკლი ზანდარაშვილი:*** „სულ მინდოდა, რომ საქართველოს ნაკრებს ბრაზილიასავით ეთამაშა... მგონი, ამიხდა“.

***ელენე კალანდაძე:*** „მკვდარი რომ იღიმება, ვიღაცას გაიყოლებსო, ნათქვამია და ა, კი გაიყოლა ბრაზილია“.

***ინგა ქვარცხავა:*** „პირველად შემეხედა ეკრანისთვის, სადაც ფეხბურთი გადის. ნამდვილად ფეხბურთია თუ კალათბურთი?!“

***კობა სუბელიანი:*** „მე მომკლეს, ბაბუ!.. – ნეიმარი“.

***fmabkhazia.com***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ცოლი:

– როგორც იქნა, მართვის მოწმობა ავიღე!.. მანქანა მინდა ვიყიდო და შეგიძლია, მირჩიო, რომელია ქალისთვის ყველაზე კარგი?

ქმარი:

– კი – სარეცხის!..

*****

– აზრამ, გადაწყვეტილება ვერაფრით მივიღე და იქნებ დამეხმარო – ერთ ნათესავს ქორწილი აქვს, მეორეს – დაკრძალვა. რომელზე წავიდეთ?

– დაკრძალვაზე!

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქაც იგივე ამბავია, ოღონდ საჩუქრის მიტანა არ მოგვიწევს.

*****

მამა 15 წლის ვაჟს:

– ჯერ სულ რაღაც 15 წლის ხარ და უკვე ეწევი. მე კი შენს ასაკში... (ჩაფიქრდა)... თუმცა, მოწიე, მოწიე...

*****

პატიმარი ცოლს წერილს წერს:

– ძალიან დიდი მადლობა ფუნთუშაში ქლიბის ჩადებისთვის... ახლა მე მთელ საკანში ყველაზე მოვლილი ფრჩხილები მაქვს!..

*****



– გასაყიდი საქონლის ძალიან უცნაური კომბინაცია გქონიათ: მხოლოდ საქსოფონები და რევოლვერები...

– სულაც არ არის უცნაური – როგორც კი ვინმე საქსოფონს ყიდულობს, სულ მალე მისი მეზობელი რევოლვერის შესაძენად მოდის!

*****

– საყვარელო, თუ კიდევ ერთხელ მაკოცებ, მთელი ცხოვრება შენი ვიქნები!

– ძალიან დიდი მადლობა გაფრთხილებისთვის!

*****

ორი ლეიტენანტი ქუჩაში მიდის. უცბად ულამაზეს საჯდომიანი გოგონა დაინახეს. გაასწრეს, სახეზე უნდოდათ შეხედვა. შედეგით იმედგაცრუებულებმა გოგონას მიაძახეს:

– გოგონი, სახეც ისეთივე ლამაზი რომ გქონდეთ, როგორც საჯდომი, ძალიან ბევრს გაკოცებდით!

– ეგ არაფერი, იქ მაკოცეთ, რაც უფრო მეტად მოგეწონათ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## სპეციალისტებმა მამაკაცის სასქესო ორგანოს ნორმალური პარამეტრები დაასახელეს



ალბათ, რამდენი სასიძო ნერვიულობს ხოლმე, რომ პირველი ღამის შემდეგ: „ეზოც რა პატარა ჰქონიაო“, არ მოისმინოს...

პირველ რიგში, იმას გეტყვით, რომ ფრანგი მეცნიერები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მამაკაცის სასქესო ორგანოს ქირურგიული ჩარევის გზით გაზრდას.

მათი განმარტებით, ასეთი სახის მანიპულაციას ჩვეულებრივ, ის მამაკაცები მიმართავენ, რომლებსაც სინამდვილეში ნორმალური ზომების ორგანო აქვთ, თუმცა არასრულფასოვნების კომპლექსებს მაინც ვერაფრით უმკლავდებიან.

მაინც, როგორია სპეციალისტების თვალსაზრისით „ნორმალური ზომები“?

საფრანგეთის ქირურგების ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მისაღები პარამეტრები ასეთია: საშუალო ზომა ჩვეულებრივ მდგომარეობაში 9-9,5 სანტიმეტრია, ერექციის მდგომარეობაში: 12,8-14,5 სანტიმეტრი; გარშემოწერილობა ჩვეულებრივ მდგომარეობაში 2,0-2,5 სანტიმეტრია, ერექციის მდგომარეობაში კი – 3,0-3,5 სანტიმეტრი.

აბსოლუტურად ყველა მამაკაცმა, რომელთა სასქესო ორგანოს სიგრძე აღნიშნულ პარამეტრებში ჯდება, ოპერაციაზე აუცილებლად კატეგორიული უარი უნდა თქვას.

უფრო მეტიც, ქირურგიულ ჩარევას მამაკაცმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუკი სასქესო ორგანოებზე თანდაყოლილი ანომალიები აქვს, ან ორგანო ტრავმის ან კიდევ, ონკოლოგიური დაავადებების გამო დაუზიანდა.

***medportal.ru***

## მკაცრ მშობლებს მატყუარა შვილები ეზრდებათო



როგორ უნდა გავზარდოთ სწორად შვილები? სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ, თუ რბილად მივუდგეთ ხოლმე? უკანასკნელი კვლევების შედეგად, რომელიც ექსპერტებმა კანადაში ჩაატარეს, ასეთი რამ გახდა ცნობილი: რაც უფრო მკაცრად ექცევიან მშობლები შვილებს, მით უფრო მეტს იტყუებიან ბავშვები.

კვლევის ფარგლებში, სპეციალისტები რამდენიმე სკოლის მოსწავლეებს აკვირდებოდნენ. ერთ-ერთ სკოლაში ბავშვებს მკაცრად სჯიდნენ და კეფაშიც ხვდებოდათ ხოლმე, მეორეში კი ასეთი სიმკაცრე არ იყო და მოზარდები მხოლოდ ხანგრძლივ დარიგებებს იღებდნენ.

ამის შემდეგ ყველა მოსწავლე ექსპერიმენტის მომდევნო ეტაპზე გადავიდა. კერძოდ, ისინი სათამაშოებით სავსე ოთახში გამოკეტეს და მათზე ცქერა აუკრძალეს. ბუნებრივია, ბავშვები ვერ ითმენდნენ და სათამაშოებს მაინც უყურებდნენ, თუ ხელს არ კიდებდნენ. ერთი კია, „დაკითხვის“ დროს ამბობდნენ, რომ ჭერში იყურებოდნენ და სათამაშოსკენ თვალიც კი არ გაქცევიათ.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ძირითადად, იტყუებოდნენ ის ბავშვები, რომლებიც მკაცრ სკოლაში სწავლობდნენ, დანარჩენები კი ტყუილს გაცილებით ნაკლებად მიმართავდნენ.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ექსპერტები ამბობენ, რომ მოზარდების მიმართ გამოვლენილი სიმკაცრე არაპროდუქტიულია და ის მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლევა.

***myjane.ru***

## მეცნიერებმა ქალწულობის დაკარგვის ოპტიმალური ასაკი დაასახელეს



ათეულობით წლის მანძილზე ექიმები ვერაფრით ჩამოყალიბდნენ, რა ასაკში უნდა დაემშვიდობოს ქალი უბიწოებას. ერთადერთი, რაშიც სპეციალისტების პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა, ის არის, რომ ქალწულობის როგორც ადრეული, ისე დაგვიანებული დაკარგვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

იმისთვის, რათა, ბოლოს და ბოლოს დაედგინათ, მაინც რა ასაკში უნდა მოხდეს დეფლორაცია, ამერიკელმა ექსპერტებმა მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც 8 ათასამდე ქალმა მიიღო მონაწილეობა.

აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად ყველას, ვინც ადრეულ ასაკში დაიწყო სექსუალური ცხოვრება, სხვადასხვა მძიმე დაავადების (მათ შორის, შიდსის) გაჩენის რისკი 80 პროცენტით ეზრდებოდათ.

ისინი, ვისაც წლების მანძილზე მხოლოდ ერთი პარტნიორი ჰყავდათ, სექსუალური ფუნქციების მოშლაზე საუბრობდნენ, თუმცა რა იწვევს ამას, სპეციალისტები ვერ ხსნიან.

სკეპტიკურად უყურებენ მედიკოსები სექსისგან ხანგრძლივ თავშეკავებას. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ სექსუალური ცხოვრების დაწყებისთვის საუკეთესო ასაკი 18 წელია. უფრო ადრინდელს ისინი ძალიან სახიფათოს უწოდებენ, ხოლო 22 წელს დაგვიანებულს.

***firstnews.ru***

## მედიკოსები ბიუსტჰალტერის წინააღმდეგ ილაშქრებენ



არ იფიქროთ, სექსუალურად გაუწონასწორებელი სპეციალისტები იყვნენ ასეთი მოსაზრების ავტორები. არავითარ შემთხვევაში! პირიქით, ისინი მშვენიერი სქესის ჯანმრთელობაზე სრულიად შეგნებულად ზრუნავენ, მამაკაცებს კი „შემთხვევით ეხმარებიან“.

მოკლედ, ამერიკელების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბიუსტჰალტერის ჩაცმა სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადების რისკს მშვენიერ სქესში 21-ჯერ ზრდის.

მეტიც, ვინც ბიუსტჰალტერს მთელი დღის მანძილზე არ იშორებს მკერდიდან, სარძევე ჯირკვლის კიბოს გაჩენის საფრთხე 125-ჯერ მატულობს.

კვლევის ავტორები ქალებს რამდენიმე რჩევასაც აძლევენ, რათა საშიში დაავადების გაჩენის რისკები შემცირდეს:

1. არასოდეს არ უნდა დაწვნენ დასაძინებლად ქალები ბიუსტჰალტერით, რადგან ეს ყველაზე საშიში ფაქტორია;
2. ბიუსტჰალტერის შეძენისას უნდა გახსოვდეთ: რაც უფრო მჭიდროა იგი, მით უფრო მეტად დაზარალდება სარძევე ქსოვილები და ლიმფური ჯირკვლები;
3. უარი უნდა თქვათ ბიუსტჰალტერზე, რომელიც მკერდს მაღლა წევს.
4. განსაკუთრებით საშიშია ბიუსტჰალტერი „ბრეტელების“ გარეშე, რადგან მკერდის მთელი წონა გვერდებზე გადადის, რაც ლიმფურ ჯირკვლებზე პირდაპირ ზეწოლას ნიშნავს.
5. ბიუსტჰალტერთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა... მასზე უარის თქმა!

***mydieta.ucoz.com***

## გაფანტული სკლეროზის განსაზღვრა სუნთქვის დახმარებით მოხერხდება?



ებრაელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულია ძალიან ადვილი და მოსახერხებელი ტესტი, რომელიც გაფანტული სკლეროზის დიაგნოზს ჰაერის ამოსუნთქვის შედეგად ამოფრქვეული ნივთიერებების მიხედვით დასვამს.

უნდა ითქვას, რომ გაფანტული სკლეროზი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აუტოიმუნური დაავადება.

ამ უსიამოვნების გამომწვევი საკმაოდ ბევრი მიზეზი არსებობს. მათ შორის, როგორც გენეტიკური, ისე ეკოლოგიური. როგორც სხვა აუტოიმუნური დაავადებები, გაფანტული სკლეროზიც მკურნალობას რთულად ექვემდებარება. მიზეზი ის არის, რომ ამისთვის საჭიროა როგორღაც, საკუთარი იმუნური სისტემის დამშვიდება არა რომელიღაც უმნიშვნელო ნაწილში, არამედ თავის ტვინში.

შესაბამისად, ძალიან დიდ როლს თამაშობს გაფანტული სკლეროზის დროული დიაგნოსტიკა. დღეისთვის დაავადების დიაგნოსტიკისთვის სპეციალისტებს საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურების ჩატარება უხდებათ.

ამდენად, ისრაელის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ გერმანელ კოლეგებთან ერთად შექმნილ ტესტს, რომელიც დიაგნოზის დასმას უმოკლეს ვადებში ახერხებს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მეთოდი დაფუძნებულია ისეთი მფრინავი კომპონენტების აღმოჩენაზე, როგორებიცაა: გექსანალდეგიდი, 5-მეთილ-უნდეკანი და ასე შემდეგ, რომლებსაც გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტების ფილტვებიდან ამოშვებული ჰაერი დიდი რაოდენობით შეიცავს.

მართალია, მეთოდი უკვე გამოიცადა და მან თითქმის 100-პროცენტიანი სიზუსტით ამოიცნო დაავადებულები, კლინიკური კვლევები ჯერჯერობით არ დასრულებულია. თუკი ექსპერიმენტებს რაიმე განსაკუთრებული სიურპრიზები არ მოჰყვება, მომავალში უამრავი ადამიანის განკურნება იქნება შესაძლებელი.

***science.computlenta.ru***

## აუზებში ცურვა... ამელოტებს?




ამ მორიგი არასასიამოვნო სიახლის ავტორები კვლავაც ამერიკელები არიან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივ აუზებში ცურვა თმის ცვენას განსაკუთრებით აჩქარებს და ასევე, ხელს უწყობს თმების გარეგნობისა და ხარისხის გაუარესებას.

რაც მთავარია, გამელოტების რისკის ჯგუფში შედიან არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიც.

კვლევაში მონაწილეობა ქალების ორმა ჯგუფმა მიიღო – პირველის წარმომადგენლები დახურულ საზოგადოებრივ აუზებს სტუმრობდნენ, ხოლო მეორე ჯგუფის მოხალისეები ბუნებრივ წყალსაცავებში ბანაობდნენ. პროცედურა ორივე შემთხვევაში კვირაში ერთხელ ტარდებოდა, თავად კვლევამ კი ორ წელიწადს გასტანა.

შედეგად დადგინდა, რომ ქალებმა, რომლებიც აუზებზე დადიოდნენ, საუკეთესო შემთხვევაში, თმის მესამედი დაკარგეს. ამასთანავე, თმის ხარისხი, რომელიც შეუნარჩუნდათ, შესამჩნევად გაუუარესდა.

რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა მეორე ჯგუფის წარმომადგენლების მდგომარეობა, რომლებიც ბუნებრივ წყალსაცავებში ბანაობდნენ – მათ თმის ცვენის პრობლემა თითქმის არ გასჩენიათ.

ამ საშინელი პრობლემის მთავარ მიზეზად ამერიკელი სპეციალისტები ქლორს ასახელებენ.

***rhemamed.com***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. წყლის ძუძუმწოვარი
2. ისტორიის მუზა
3. ფირალი
4. ჭრილობა
5. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
6. მან აიღო რ-ჯინა ოლიმპ. თამაშები
7. მსახიობი ბრიჯიტ ...
8. სტუდენტის ხელფასი
9. მსახიობი ... კინსკი
10. ზამბახი
11. წისქვილის ქვა
12. მომღერალი ... რამიშვილი
13. ბიბლიური მთა
14. ქალაქი უკრაინაში
15. თვალის ფერადი გარსის ანთება
16. ოსური ცეკვა
17. შხამიანი ბაყაყი
18. ნასესხები ფული
19. „ბეჭდების მბრძანებ." ჰობიტი
20. მსახიობი ... ნილი
21. ლეილა აბაშიძე ფილმში
22. ორგანის კლავიატურა
23. მწერალი ჯეკ ...
24. ინდური ვარცხნილობა
25. „დათა თუთაშხია" ანარქისტი ... ბუბუტეიშვილი
26. მომღერალი პერი ...
27. მომღერალი ავრილ ...
28. სახოტბო ლექსი
29. პროვინცია ესპანეთში
30. პოეტი ანა ...
31. კონტინენტი
32. მოდელი ... კროუფორდი
33. ირანის დედაქალაქი
34. მით. მედუზა გველის თმებით
35. ძვირფასი ქვა
36. ქალაქი გურიაში
37. მსახიობი ... სუეიზი
38. ცურვის სტილი
39. რისი ერთეულია ვოლტი
40. ევას მეუღლე
41. მომღერალი მუსლიმ ...
42. მსახიობი რასელ ...
43. რეჟისორი ... სკორსეზე
44. ჩაძირული ცივილიზაცია
45. ... მორჩილაძე
46. მსახიობი რიჩარდ ...
47. ვეტერინარი, ანუ ...
48. ანკესის დეტალი
49. დაღესტნური სოფელი
50. უძველესი ასურეთის დედაქალაქი
51. ზამთრის თვე
52. აღვირის დეტალი
53. მსახ. ... კოლელიშვილი
54. მაღალი დონის განათლება
55. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ჯავახეთში
56. მეხისგან დამცავი ძელი
57. დიდი საჯარისო შენაერთი
58. ქალაქი საფრანგეთში
59. მსახიობი ... პეკი
60. ლითონ. ფული
60ა. ბოსტნ. მავნებელი
61. მსახიობი ... ფერტი
62. ცხენირემი
63. კერვისას თითის დამცავი
64. ქიმიური ჭურჭელი
65. სათაო შენობა
66. რაიმეს სახელური
67. ქართ. ანბანის ბოლო ასო
68. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
69. აზრი
70. პურის მცხობელი
71. ჰიპოპოტამი
72. მსახიობი ... მერფი
73. უფლის სამოსი
74. მსახიობი ... ოლდმენი
75. მხ/ფ „... მისტერ რიპლი"
76. ღვინის ღმერთი
77. გიგანტური ტალღა
78. კვახი
79. მიმიკის უქონლობა
80. აქ ცხენები დარბიან
81. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
82. ქალაქი შიდა ქართლში
83. სომხეთის ძველი დედაქალაქი
84. ყურძნის არაყი
85. ახალი ... კარგად გვის
86. ფეხის სახსარი
87. მწერალი ... ჭავჭავაძე
88. ვერდის ოპერა
89. გიგანტური ყვავილი
90. სამშენებლო მასალა
91. ტენორი ... ლანცა
92. ქალაქი ქვემო ქართლში
93. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
94. თუთიყუშის სახეობა
95. მერიმე. „... ფალკონე"
96. ყურძნის ჯიში
97. უნაყოფო ნიადაგი
98. მსახ. ... ფრეინდლიხი
99. გრძელი თონის პური
100. „მაუგლი" ავაზა
101. სანელებელი
102. შტატი აშშ-ში
103. ტარზანის მაიმუნი
104. ერთკუზიანი აქლემი
105. თევზის ჯიში
106. გულიანი კანფეტი
107. მარცვლოვანი მცენარე
108. ძაღლის ნაშიერი
109. ეპილოგი და ...
110. ...-კლარჯეთი
111. მომღერალი სოფია ...
112. ოქროს დიდი ნაჭერი
113. დაბალფასიანი
114. მდინარე დარიალის ხეობაში
115. მთათა სისტემა აზიაში
116. მსახიობი მარლონ ...
117. დაბა სვანეთში
118. სირიის დედაქალაქი
119. მწერი
120. მსახიობი ანჯელინა ...
121. რეჟისორი ... ჰოვარდი
122. ერთგვარი მარვალი
123. ხორცის ნაჭერი
124. დაბა თბილისის დაქვემდებარებაში
125. იტალიური ღვეზელი
126. მსახიობი ... მაკლეინი
127. სამკაციანი ანსამბ-ლი
128. ნადირობის ქალღმერთი
129. „... ვხედავ მზეს"
130. ტენორი ბენიამინო ...
131. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
132. მსახიობი ... ტაკერი
133. სინათლის სხივი, რომელიც ლითონს ჭრის
134. ვიოლინოს წინაპარი
135. მსახიობი ... პაჩინო
136. ტროპიკული ნაყოფი
137. იაპონური ჭადრაკი
138. მდინარე საფრანგეთში
139. მიწათმოქმედების სპეციალისტი
140. მდინარე ინდოეთში
141. ზღვა შუა აზიაში
142. განთიადი
143. სპოროვანი მცენარე
144. მეჩეთი ...-სოფია

პასუხები: 1. სელაპი; 2. კლიო; 3. აბრაგი; 4. იარა; 5. კარაბადინი; 6. ბარდო; 8. სტიპენდია; 9. ნასტასია; 10. ირისი; 11. დოლაბი; 12. ოთარ; 13. არარატი; 14. ლვოვი; 15. ირიტი; 16. სიმდი; 17. აგა; 18. ვალი; 19. ფროდო; 20. სემ; 21. „აბეზარა"; 22. მანუალი; 23. ლონდონი; 24. იროკეზი; 25. ნიკიფორე; 26. კომო; 27. ლავინი; 28. ოდა; 29. ანდალუსია; 30. კალანდაძე; 31. აზია; 32. სინდი; 33. თეირანი; 34. გორგონა; 35. ამეთვისტო; 36. ოზურგეთი; 37. პატრიკ; 38. ბრასი; 39. ძაბვა; 40. ადამი; 41. მაგომაევი; 42. კროუ; 43. მარტინ; 44. ატლანტიდა; 45. აკა; 46. გირი; 47. ბეითალი; 48. ტივტივა; 49. აული; 50. ნინევია; 51. თებერვალი; 52. ლაგამი; 53. ზაზა; 54. ერუდიცია; 55. ვარძია; 56. მეხამრიდი; 57. არმია; 58. ბორდო; 59. გრეგორი; 60. ხურდა; 60ა. მახრა; 61. კოლინ; 62. ლოსი; 63. სათითე; 64. კოლბა; 65. ოფისი; 66. ტარი; 67. ჰაე; 68. მემ; 69. იდეა; 70. ხაბაზი; 71. ბეჰემოთი; 72. ედი; 73. კვართი; 74. ჰარი; 75. ნიჭიერი; 76. დიონისე; 77. ცუნამი; 78. გოგრა; 79. ამიმია; 80. იპოდრომი; 81. სამოა; 82. გორი; 83. ანისი; 84. ჭაჭა; 85. ცოცხი; 86. მუხლი; 87. ილია; 88. „აიდა"; 89. რაფლეზია; 90. გაჯი; 91. მარიო; 92. მარნეული; 93. აგრა; 94. კაკადუ; 95. მატეო; 96. რქაწითელი; 97. ეწერი; 98. ალისა; 99. შოთი; 100. ბაგირა; 101. დაფნა; 102. ვაიომინგი; 103. ჩიტა; 104. დრომადერი; 105. ხმალთევზა; 106. კარამელი; 107. წიწიბურა; 108. ლეკვი; 109. ეპილოგი; 110. ტაო; 111. როტარუ; 112. ზოდი; 113. იაფი; 114. თერგი; 115. ტიან-შანი; 116. ბრანდო; 117. მესტია; 118. დამასკო; 119. კალია; 120. ჯოლი; 121. რონ; 122. სტრეიჯი; 123. არტალა; 124. კოჯორი; 125. პიცა; 126. შირლი; 127. ტრიო; 128. დიანა; 129. მე; 130. ჯილი; 131. მო; 132. კრის; 133. ლაზერი; 134. ვიოლა; 135. ალ; 136. მანგო; 137. გო; 138. რონა; 139. აგრონომი; 140. განგი; 141. არალი; 142. ალიონი; 143. სოკო; 144. აია. იკითხება: პაბლო პიკასო.

# ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

„ნეოსტუდიის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ბატონ ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ლენა სეხნიაშვილი, ნანა ჭარხალაშვილი, ნანა ქუთათელაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ბატონ ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## როდის ხდება ადამიანი ჭეშმარიტად ბრძენი?



ვისაც უწევს ხოლმე წყევლა: „არც შენი იცოდე და სხვისიც არ გესმოდესო“, წასულია მისი საქმე. არადა, რომ ჰკითხო, ბრძენთა ბრძენია და აბსოლუტურად ყველა სფეროშია ჩახედული. დაგვეთანხმებით, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან რთულია და თუ გნებავთ, მყარი არგუმენტი დაუპირისპიროთ მის ვაი-ბრძენობას, მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მოიშველიეთ.

როგორც ირკვევა, კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, როდის და რა ასაკში ხდება ადამიანი ჭეშმარიტად ბრძენი.

აღმოჩნდა, რომ ეს 55 წლის ასაკში ხდება – ტვინი გაცილებით პროდუქტიულად მუშაობას იწყებს.

მონრეალის უნივერსიტეტის ნეიროქირურგების განმარტებით, 55-75 წლის ადამიანების ტვინი განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანი რთული დავალებების გადაწყვეტას ცდილობს. ამასთანავე, აღნიშნული ასაკის ადამიანები პრობლემის გადაჭრისთვის სრულიად განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ, ვიდრე ახალგაზრდები.

სიბრძნე ისაა, რომ ასაკიანი ადამიანები პრობლემის საწყისთან ბრუნდებიან, ახალგაზრდები კი ძირითადად, პრობლემის გადაჭრის აბსოლუტურად ყველა შესაძლო გზაზე ფიქრობენ. სპეციალისტების თქმით, სამწუხაროდ, ეს ხშირად სიტუაციას უფრო ართულებს.

***myjane.ru***

## დაფეხმძიმების ერთ-ერთი ხელის შემშლელი მიზეზი სიგამხდრეა?



აფსუს, რა მაგარი იქნებოდა, ადამიანებს ოქროს შუალედის აღმოჩენა რომ შეეძლოთ?! ასეთ შემთხვევაში ხომ უამრავი პრობლემის მოგვარება გახდებოდა შესაძლებელი.

სიმსუქნე რომ დამღუპველია, ბევრჯერ გაგვიგია და სიგამხდრეც რომ არ ამშვენიერებს და აბედნიერებს ადამიანს, ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს საიდუმლო, თუმცა ამ უკანასკნელს დაფეხმძიმების პრობლემის შექმნაც თუ შეეძლო, ალბათ, ბევრმა არ იცოდა.

ამერიკელი მკვლევარები საკმაოდ არასახარბიელო ტენდენციაზე საუბრობენ – გამხდარ ქალებს დაფეხმძიმება ბევრად უჭირთ. სტატისტიკა აშკარად მეტყველებს, რომ უნაყოფობის დიაგნოზს გაცილებით ხშირად სწორედ გამხდრებს უსვამენ ხოლმე.

სხვათა შორის, იგივე სტატისტიკა იმასაც ცხადჰყოფს, რომ არც ჭარბწონიან ქალებს აქვთ საქმე გადასარევად.

დაფეხმძიმებაში ხელის შემშლელი კიდევ ერთი ფაქტორია მშვენიერ სქესში დიდად პოპულარული ერთმანეთისგან განსხვავებული დიეტები.

ნებისმიერი შეზღუდვა უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე, რასაც ორგანიზმში სხვადასხვა ბუნებრივი პროცესების დარღვევა მოსდევს, მათ შორის, რეპროდუქტიულ სისტემაშიც.

***medkarta.com***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**10 ივლისი:** მთელი დღის მანძილზე გაუბედავი იქნებით და ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდებათ. არჩევანზე რომ არ იწვალოთ, ახლობლების რჩევა გაითვალისწინეთ.

**კურო 22.04-21.05**

**10 ივლისი:** არაერთ კარგ წინადადებას მიიღებთ და მათგან საუკეთესოს ამორჩევა მოგიწევთ. შემდგომში სანანებელი რომ არ გაგიხდეთ, არჩევანის გაკეთება არ იჩქაროთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**10 ივლისი:** ინფორმაციის ულევი წყარო იქნებით. დარწმუნდით, რომ მათ არავინ გპარავთ. ამ ინფორმაციების სათანადოდ გადამუშავებით, ცხოვრებას საგრძნობლად გაიადვილებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**10 ივლისი:** მდორედ მიმდინარე ინტრიგის დაჩქარებაზე არც კი იფიქროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს გარშემო არსებული მცირე უწესრიგობა ქაოსში გადაიზრდება.

**ლომი 23.07-22.08**

**10 ივლისი:** თითქმის ყველა, ვინც თქვენს გარშემო იტრიალებს, თქვენი პერსონით იქნება დაინტერესებული. საკუთარ ქმედებებსა და საუბარზე კონტროლის გამკაცრება მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**10 ივლისი:** თუ დღეს სასურველის მიღებას ვერ შეძლებთ, საკუთარი თავის მეტს ამაში ვერავის გაამტყუნებთ. სხვა უსიამოვნებები მოსალოდნელი არ არის.

**სასწორი 23.09-22.10**

**10 ივლისი:** თუ ვინმესთან ნაჩხუბარი ხართ, დღეს მასთან შერიგება არ გაგიჭირდებათ. შესაძლოა, არა მხოლოდ ძველი მეგობრობა აღადგინოთ, არამედ ახლებიც შეიძინოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**10 ივლისი:** შეიძლება დღეს ამოსუნთქვის საშუალება მოგცენ. მოდუნდით და არაფერზე არ ინერვიულოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**10 ივლისი:** დღეს პრიორიტეტული თქვენი პირადი საქმეები უნდა იყოს, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც გრძნობებს ეხება. სხვა საქმეები მოიცდის.

**თხის რქა 22.12-19.01**

**10 ივლისი:** დღეს პიროვნული გაორება გელით, აქტიურობაც გენდომებათ და დასვენებაც. თუ ოქროს შუალედს გამონახავთ, დღე მშვიდად ჩაივლის.

**მერწყული 20.01-18.02**

**10 ივლისი:** შეეცადეთ, საოჯახო საქმეებს მეტი ყურადღებით მოეკიდოთ. მონდომების შემთხვევაში, დამატებითი პრობლემები მოსალოდნელი არ არის.

**თევზები 19.02-20.03**

**10 ივლისი:** ბოლო დროს, როგორც ჩანს, საქმეები მოგემატათ. არსად გაგექცევათ, დამშვიდდით და დამთრგუნველი აზრებისგან განთავისუფლდით.

## რა შეიძლება მოჰყვეს გლანდებისა და ბრმა ნაწლავის ამოჭრას?



უფრო დავაზუსტოთ და კითხვა ასე დავსვათ: იცით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გლანდებისა და ბრმა ნაწლავის ამოჭრას 20 წლის ასაკამდე?

პასუხი არცთუ სახარბიელო და სასიამოვნოა: შვედმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანები, რომლებსაც გლანდები და ბრმა ნაწლავი არ აქვთ, ძალიან მაღალი რისკის ქვეშ არიან, ასაკის მატებასთან ერთად, მიოკარდის ინფარქტით დაავადდნენ.

თავიანთი კვლევის შედეგებს შვედი სწავლულები შემდეგნაირად ხსნიან: ადამიანებს, რომლებმაც გლანდები და ბრმა ნაწლავი ადრეულ ასაკში ამოიჭრა, წლებთან ერთად ძარღვები სულ უფრო უსუსტდებათ, რასაც შედეგად შესაძლოა, გულის დაავადებების გაჩენაც მოჰყვეს.

რითია გამოწვეული ურთიერთკავშირი ადამიანის ორგანიზმში ქირურგიულ ჩარევასა და გულის დაავადებების გაჩენას შორის, უცნობია.

სპეციალისტების ვარაუდით, შესაძლოა, უსიამოვნების მიზეზი გლანდებისა და ბრმა ნაწლავის ვადამდელი მოცილება იმუნიტეტს აზიანებს და ბუნებრივია, ამას დადებითი შედეგები ვერაფრით მოჰყვება.

***dr20.ru***

## კოშმარული სიზმრები ფსიქიკისთვის... სასარგებლოაო



რასაც ეს ამერიკელები აღარ იტყვიან ხოლმე, თქვენ ის იკითხეთ, თორემ, თავად უკანაც კი არ იხედებიან, ისე გვაკვირვებენ და გვაკვირვებენ.

კონტინენტსგაღმელებმა დაადგინეს, რომ ცუდი და საშიში სიზმრები არათუ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე, არამედ პირიქით, ფსიქიკაზე დადებითად მოქმედებს.

მოსაზრების ავტორთა თქმით, საშიში და აუხსნელი სიზმრების ნახვის მიზეზი დიდი რაოდენობით ინფორმაცია და ემოცია ხდება.

ყველაზე ხშირად მსგავს უსიამოვნო სურათებს ადამიანი დილით, ე.წ. „სწრაფი ძილის“ ფაზაში ნახულობს. მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ღამის მანძილზე გონება ყველა ნეგატიურ შეგრძნებას ამუშავებს და მათ თავიდან იცილებს. ეს ყველაფერი ილექება და დილაობით ახსენებს თავს ადამიანს, რომელიც გაღვიძების შემდეგ, მზად არის, ახალი ემოციებით დაიტვირთოს.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ სტატისტიკის მიხედვით, თურმე ქალები გაცილებით საშინელ კოშმარებს ნახულობენ, ვიდრე მამაკაცები. ამასთანავე, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სიზმრები გაცილებით ემოციურია და ამის გამო, ადვილად ხდება მათი ახსნა-გაგება.

– ქალებს ყოველთვის უკეთ ახსოვთ სიზმრები, ვიდრე მამაკაცებს. ისინი უფრო ხშირად საუბრობენ თავიანთ ცხოვრებაზე, ვიდრე მამაკაცები და მეხსიერების გრძნობაც უკეთ აქვთ განვითარებული, – განმარტავენ ამერიკელი სწავლულები.

***tainamira.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მხატვართან დამკვეთი მივიდა:

– ცოლის თხოვნით ვარ მოსული. უნდა, რომ ოთახში დიდი ნახატი გვეკიდოს – რაიმე რელიგიური...

– კი, ბატონო, არ არის პრობლემა. სიუჟეტზე ნაფიქრი გაქვთ?

– სიმართლე გითხრათ, არა. ალბათ, რაიმე ბიბლიიდან.

– ბიბლიიდანაც შეგვიძლია... რას ისურვებთ – წარღვნა, სამყაროს შექმნა, ადამი და ევა...

– ადამი და ევა მომწონს.

– და როგორ გამოვსახო – პირველქმნილ ცოდვამდე თუ ცოდვის შემდეგ?

– არ ვიცი, ცოლი რომელს აირჩევს, მე კი მირჩევნია, ადამი და ევა ცოდვის დროს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.50